COMMITTEE OF MINISTERS
COMITÉ DES MINISTRES

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

MINISTERS' DEPUTIES
DÉLÉGUÉS DES MINISTRES

Recommendations
Recommandations

CM/Rec(2010)7

11/05/2010

Recommendation of the Committee of Ministers to member states on the Council of Europe Charter on Education for Democratic Citizenship and Human Rights Education

Unofficial translation into Georgian

Recommandation du Comité des Ministres aux Etats membres sur la Charte du Conseil de l'Europe sur l'éducation à la citoyenneté démocratique et l'éducation aux droits de l'homme

Traduction non officielle en géorgien

ევროპის საბჭოს ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)7 და განმარტებითი მემორანდუმი

© Council of Europe [May 2010], original English and French versions
© [your establishment] [Month, year], [language] translation

Text originated by, and used with the permission of, the Council of Europe. This unofficial translation is published by arrangement with the Council of Europe, but under the sole responsibility of the translator.

* * * * *

© Conseil de l'Europe [mai 2010], versions originales en anglais et français
© [votre établissement] [mois, année], [langue] traduction

Le texte original provient du Conseil de l'Europe et est utilisé avec l'accord de celui-ci. Cette traduction est réalisée avec l'autorisation du Conseil de l'Europe mais sous l'unique responsabilité du traducteur.

Website: www.coe.int/cm

სამართლებრივი ინსტრუმენტები

ევროპის საბჭოს ქარტია
დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2010)7 და განმარტებითი მემორანდუმი

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec (2010)7 და განმარტებითი მემორანდუმი

ევროპის საბჭოს ქარტია

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ,
2010 წლის 11 მაისს
დამტკიცებული რეკომენდაცია CM/Rec (2010)7
და განმარტებითი მემორანდუმი

წინამდებარე გამოცემაში შესული ტექსტების გამრავლება დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, თუ მითითებული იქნება წყარო, სახელდობრ, ევროპის საბჭო და მოცემული იქნება წინამდებარე გამოცემის სათაური სრულად. გამოცემაში შესული ტექსტების კომერციული მიზნით გამოყენების ან იმ ენაზე თარგმნის შემთხვევაში, რომელიც არ წარმოადგენს ევროპის საბჭოს ოფიციალურ ენას, გთხოვთ, დაუკავშირდეთ შესაბამის უწყებას, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: publishing@coe.int.

სტრასბურგი, F-67075
http://book.coe.int
© Council of Europe, 2010 წლის ოქტომბერი

1. განათლების საორგანიზაციო კომიტეტის (CDED) მიერ წამოყენებული და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ, 2010 წლის 11 მაისს დამტკიცებული რეკომენდაცია CM/Rec(2010)7;
2. წინამდებარე პუბლიკაციაში შესულია რეკომენდაციის CM/Rec(2010)7 ტექსტი და განმარტებითი მემორანდუმი.

მინისტრთა კომიტეტის მიერ წევრი ქვეყნებისადმი გაცემული

რეკომენდაცია CM/Rec (2010)7

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ

ევროპის საბჭოს მიერ მიღებული ქარტიის თაობაზე

(დამტკიცებულ იქნა მინისტრთა კომიტეტის მიერ 120-ე სესიაზე 2010 წლის 11 მაისს)

ევროპის საბჭოს წესდების მე-15 მუხლის ბ) პუნქტის თანახმად, მინისტრთა კომიტეტი,

ითვალისწინებს რა ევროპის საბჭოს ძირითად მისიას, რომელიც მდგომარეობს ადამიანის უფლებათა დაცვასა და დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის განმტკიცებაში;

დარწმუნებულია რა, რომ განათლება და წვრთნა გადამწყვეტ როლს თამაშობს აღნიშნული მისიის გაფართოებაში;

პატივს სცემს რა საერთაშორისო კანონით და, განსაკუთრებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით (ETS No.5), ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ საერთაშორისო შეთანხმებით და ბავშვის უფლებათა შესახებ საერთაშორისო კონვენციით მინიჭებულ უფლებას განათლებაზე;

ითვალისწინებს რა, რომ 1993 წელს, ვენაში, ადამიანის უფლებათა დაცვისადმი მიძღვნილი მსოფლიო კონფერენცია მოუწოდებდა სახელმწიფოებს, როგორც ფორმალური, ასევე ფორმალური სასწავლო გარე-

მოს გარეთ არსებული ყველა სასწავლო დაწესებულების პროგრამაში, ცალკე საგნების სახით ყოფილიყო შეტანილი ადამიანის უფლებათა, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის სწავლება;

პატივს სცემს რა 1997 წელს ევროპის საბჭოს წევრ-სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მეორე სამიტზე მიღებულ გადაწყვეტილებას, დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქალაქეებისათვის საკუთარი უფლებებისა და პასუხისმგებლობების გაცნობიერებისათვის ხელშეწყობის მიზნით, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების შესახებ ინიციატივით გამოსვლის თაობაზე;

ითვალისწინებს და ეყრდნობა რა მინისტრთა კომიტეტის მიერ გაცემულ რეკომენდაციას, Rec (2002)12, დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ განათლების თაობაზე;

პატივს სცემს რა მინისტრთა კომიტეტის მიერ გაცემულ რეკომენდაციას, Rec (2003)8, ფორმალური სასწავლო გარემოს გარეთ მიღებული განათლების/ახალგაზრდათა სწავლების თაობაზე და, ასევე, რეკომენდაციას, Rec (2004)4, საუნივერსიტეტო განათლებასა და პროფესიულ წვრთნაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესახებ;

ითვალისწინებს რა საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციას 1682 (2004), რომელიც შეიცავს მოწოდებას დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის მომზადების თაობაზე;

ეხმიანება რა 2005 წელს ბუდაპეშტში გამართული, ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე პასუხისმგებელი, ევროპის მინისტრთა მე-7 კონფერენციის მოწოდებას, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების პოლიტიკური ჩარჩო დოკუმენტის მომზადების თაობაზე;

გამოთქვამს რა სურვილს, საკუთარი წვლილი შეიტანოს, გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ, 2005 წელს დამტკიცებული, ადამიანის უფლებათა მსოფლიო პროგრამის მიზნების მიღწევაში, რომლის რეგიონულ პარტნიორსაც ევროპაში წარმოადგენს ევროპის საბჭო;

გამოთქვამს რა სურვილს, დაეყრდნოს „განათლება მოქალაქეობის მეშვეობით – 2005 ევროპული წლის“ გამოცდილებას, რომლის ფარგლებშიც, სახელმწიფოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაკეთებულ ანგარიშებში წარმოდგენილ იქნა დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებების სწავლების საუკეთესო პრაქტიკის უამრავი მაგალითი და, ასევე, გამოთქვამს რა სურვილს, შეაჯამოს, გაახორციელოს კოდიფიცირება და მთელი ევროპის მასშტაბით გაავრცელოს დაგროვილი საუკეთესო პრაქტიკა;

ითვალისწინებს რა, რომ საგანმანათლებლო სისტემათა ორგანიზებასა და მათ ძირითად მიმართულებებზე პასუხისმგებლობა ეკისრება წევრ ქვეყნებს;

აცნობიერებს რა იმ მნიშვნელოვან როლს, რომელიც განათლების ამ სფეროში ენიჭება არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს და **გამოთქვამს რა მზადყოფნას**, დახმარება გაუწიოს მათ ამ მიმართულებით,

იძლევა რეკომენდაციებს, რომ წევრ სახელმწიფოთა მთავრობებმა:

- ☐ გაატარონ ღონისძიებები, რომლებიც ეფუძნება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ ევროპის საბჭოს ქარტიის დებულებებს, როგორც ეს ჩამოყალიბებულია წინამდებარე რეკომენდაციის დანართში;
- ☐ უზრუნველყონ წინამდებარე ქარტიის გავრცელება, განათლებასა და ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე პასუხისმგებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის;

ავალებს გენერალურ მდივანს, წინამდებარე რეკომენდაცია მიაწოდოს:

- ☐ ევროპის კულტურული კონვენციის (ETS No. 18) მონაწილე მხარე-სახელმწიფოების მთავრობებს, რომლებიც არ არიან ევროპის საბჭოს წევრები;
- ☐ საერთაშორისო ორგანიზაციებს.

დანართი რეკომენდაციაზე CM/Rec (2010)7

ევროპის საბჭოს ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ

მიღებულია მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის – CM/Rec (2010)7 - ფარგლებში

ნაწილი I – ზოგადი დებულებები

1. გამოყენების სფერო

წინამდებარე ქარტია ეხება განათლებას დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და ადამიანის უფლებათა სწავლებას, როგორც ეს განმარტებულია მუხლში 2. იგი უშუალოდ არ ეხება დაკავშირებულ სფეროებს, როგორიცაა კულტურათაშორისი განათლება, განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა, განათლება მდგრადი განვითარებისათვის და განათლება მშვიდობისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზემოთ ჩამოთვლილი სფეროები უკავშირდება განათლებას დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და ადამიანის უფლებათა სწავლებას.

2. განმარტებები

წინამდებარე ქარტიით სარგებლობისათვის საჭიროა შემდეგი განმარტებები:

ა) „განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის“ ნიშნავს განათლებას, წვრთნას, ცნობიერების ამაღლებას, ინფორმაციას, პრაქტიკასა და საქმიანობებს, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს, მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის ცოდნის გადაცემის, უნარებისა და ნათელი წარ-

მოდგენების განვითარებისა და დამოკიდებულებებისა და ქცევის წესის ჩამოყალიბების გზით, მათთვის იმ რესურსების მიწოდება, რომელიც საშუალებას მისცემთ მათ, გამოიყენონ და დაიცვან მათდამი მინიჭებული დემოკრატიული უფლებები და ვალდებულებები საზოგადოებაში, დააფასონ მრავალფეროვნება და აქტიური როლი ითამაშონ დემოკრატიული ცხოვრების წესში, დემოკრატიის პრინციპებისა და კანონის უზენაესობის დანერგვისა და დაცვის საშუალებით.

ბ) „ადამიანის უფლებათა სწავლება“ ნიშნავს განათლებას, წვრთნას, ცნობიერების ამაღლებას, ინფორმაციას, პრაქტიკასა და საქმიანობებს, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს, მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის ცოდნის გადაცემის, უნარებისა და ნათელი წარმოდგენების განვითარებისა და დამოკიდებულებებისა და ქცევის წესის ჩამოყალიბების გზით, მათთვის იმ რესურსების მიწოდება, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ საკუთარი წვლილი შეიტანონ საზოგადოებაში ადამიანის უფლებათა საყოველთაო კულტურის დანერგვისა და დაცვის საქმეში, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დანერგვისა და დაცვის თვალსაზრისით.

გ) „ფორმალური განათლება“ წარმოადგენს განათლებისა და წვრთნის სტრუქტურულ სისტემას, რომელიც მოიცავს დაწყებითი სკოლამდელიდან და დაწყებითი სკოლიდან, საშუალო სკოლის ჩათვლით, საგანმანათლებლო სისტემას უნივერსიტეტამდე. იგი, ჩვეულებრივ, ხორციელდება ზოგად და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში და გულისხმობს კურსდამთავრებულთათვის სერტიფიკატების გადაცემას.

დ) „ფორმალური სასწავლო გარემოდან განსხვავებულ გარემოში მიღებული განათლება“ ნიშნავს ნებისმიერ დაგეგმილ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც შექმნილია გარკვეული უნარებისა და კომპეტენციების გასაუმჯობესებლად და რომელიც ხორციელდება ფორმალური საგანმანათლებლო გარემოდან დამოუკიდებლად.

ე) „არაფორმალური განათლება“ ნიშნავს მთელი ცხოვრების მანძილზე მიმდინარე პროცესს, რომლის დროსაც ყოველი ინდივიდუალური პიროვნება იძენს დამოკიდებულებებს, ღირებულებებს, უნარებს და ცოდნას, საგანმანათლებლო რესურსებისა და ამ რესურსების გავლენის საშუალებით, საკუთარ გარემოში თუ ყოველდღიური გამოცდილებიდან (ოჯახში, თანატოლების გარემოცვაში, მეზობლების წრეში, ნაცნობებთან ურთიერთობისას, ბიბლიოთეკაში, მასმედიის საშუალებით, სამუშაო ადგილზე, გართობისა და სპორტული შეჯიბრებების თავშეყრის ადგილზე და ა.შ.).

3. კავშირი დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებასა და ადამიანის უფლებათა სწავლებას შორის

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და ადამიანის უფლებათა სწავლება მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთმანეთს ავსებს. მათ საერთო მიზნები და გამოყენების სფერო აქვთ, განსხვავება მხოლოდ შესწავლის საკითხებსა და პრიორიტეტებშია გამოხატული. დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების პრიორიტეტს უწინარესად წარმოადგენს დემოკრატიული უფლებები და მოვალეობები, ისევე როგორც საზოგადოების სამოქალაქო, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და კულტურულ პროცესებში აქტიური მონაწილეობა; მაშინ, როცა ადამიანის უფლებათა სწავლება ორიენტირებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ფართო სპექტრზე, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში.

4. კონსტიტუციური სტრუქტურები და წევრი ქვეყნების პრიორიტეტები

გამოყენებულ უნდა იქნეს ქვემოთ ჩამოყალიბებული მიზნები, პრინციპები და სტრატეგიები:

ა) საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს თითოეული წევრი სახელმწიფოს

კონსტიტუციური სტრუქტურა და გამოყენებულ იქნეს საშუალება, რომელიც შეესაბამება მოცემულ სტრუქტურებს;

ბ) საჭიროა, გათვალისწინებულ იქნეს თითოეული წევრი სახელმწიფოს პრიორიტეტები და საჭიროებები.

ნაწილი II – მიზნები და პრინციპები

5. მიზნები და პრინციპები

საკუთარი პოლიტიკური კურსისა და კანონმდებლობის შემუშავებისა და პრაქტიკის დანერგვისას, წევრმა სახელმწიფოებმა საჭიროა იხელმძღვანელონ ქვემოთ მოყვანილი მიზნებითა და პრინციპებით.

ა) მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრები ნებისმიერი პირისათვის დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ბ) დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების ფარგლებში ცოდნის შეძენა წარმოადგენს პროცესს, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება. ამ სფეროში ეფექტური სწავლა მოიცავს დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრს, მათ შორის, პოლიტიკურ მოღვაწეებს, საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე პროფესიონალებს, მოსწავლეებსა და სტუდენტებს, მშობლებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, განათლების სფეროს ხელმძღვანელებს, სახელმწიფო მოსამსახურეებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, მასობრივ საინფორმაციო საშუალებებსა და ფართო საზოგადოებას.

გ) განათლებისა და წვრთნის ყველა საშუალებას, ფორმალური იქნება იგი, ფორმალური სასწავლო გარემოდან განსხვავებულ გარემოში მიღებული თუ არაფორმალური, საკუთარი ფუნქცია ეკისრება სწავლის მოცემულ პროცესში და მნიშვნელოვანია თითოეული საშუალების წვლილი მისი პრინციპების ხელშეწყობისა და მიზნების გახორციელების საქმეში.

დ) დიდია არასამთავრობო თუ ახალგაზრდული ორგანიზაციების წვლილი დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების განხორციელებაში, განსაკუთრებით, ფორმალური სასწავლო გარემოდან განსხვავებულ გარემოში მიღებული და არაფორმალური განათლების ფარგლებში და, შესაბამისად, საჭიროა მათთვის შესაძლებლობების შექმნა და მათი მხარდაჭერა, რათა არასამთავრობო და ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა შეძლონ თავიანთი წვლილის შეტანა ამ საქმეში.

ე) სწავლებისა და სწავლის პრაქტიკა და საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა ღირებულებებსა და პრინციპებზე დაყრდნობითა და მათი ხელშეწყობის საშუალებით; განსაკუთრებით, საგანმანათლებლო დაწესებულებები, მათ შორის, სკოლების მმართველი ორგანოები, თავიანთი საქმიანობების განხორციელებისას, უნდა ხელმძღვანელობდნენ ადამიანის უფლებათა ღირებულებებით და ხელს უწყობდნენ მოსწავლეებისა და სტუდენტთა, მოსწავლეებისა და სტუდენტების განათლებაზე პასუხისმგებელი პერსონალისა და ყველა დაინტერესებული სუბიექტის, მათ შორის, მშობლების აღჭურვას უფლებამოსილებით, რომ მათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ სასწავლო დაწესებულების მიერ გახორციელებულ პროცესებში.

ვ) ზოგადად, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების არსებით ელემენტს წარმოადგენს სოციალური ერთობისა და კულტურათშორისი დიალოგის ხელშეწყობა,

აგრეთვე, მრავალფეროვნებისა და თანასწორუფლებიანობის, მათ შორის, გენდერული თანასწორობის დაფასება; ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია ცოდნის შეძენა, პიროვნული და სოციალური უნარების გამომუშავება და ნათელი წარმოდგენების შექმნა, რომლებიც ამცირებს კონფლიქტების წარმოქმნის შესაძლებლობებს და ზრდის სხვადასხვა რელიგიურ თუ ეთნიკურ ჯგუფს შორის განსხვავებათა ჯეროვნად შეფასებისა და გაგების შესაძლებლობებს, ქმნის ადამიანური ღირსებებისადმი ურთიერთპატივისცემის გარემოს და საერთო ღირებულებებს, ხელს უწყობს დიალოგის წარმოებას და პრობლემებისა და საკამათო საკითხების ძალადობის გარეშე მოგვარებას.

ზ) დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების ერთ-ერთ არსებით მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა და სტუდენტთათვის არა მხოლოდ ცოდნის გადაცემა, ნათელი წარმოდგენების შექმნა და უნარების გამომუშავება, არამედ, საზოგადოებაში მოქმედებისათვის მზადყოფნისათვის მათი მომზადება, რაც გამოიხატება ადამიანის უფლებათა, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვისა და ხელშეწყობისათვის მზადყოფნაში.

თ) განათლების სფეროში მოღვაწე პროფესიონალთა და ახალგაზრდა ხელმძღვანელთა, ისევე, როგორც თავად ტრენერების წვრთნისა და განვითარების მიმდინარე პროგრამა, რომელიც მათ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების პრინციპებსა და პრაქტიკაში გაწვრთნას გულისხმობს, წარმოადგენს ამ სფეროში ეფექტური განათლების უზრუნველყოფის აუცილებელ პირობას და, შესაბამისად, საჭიროა ამ პროგრამის სათანადოდ დაგეგმვა და რესურსებით უზრუნველყოფა.

ი) საჭიროა პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა და გაღრმავება დაინტერესებულ სუბიექტთა იმ ფართო სპექტრის წარმომადგენელთა შორის, რომლებიც ჩაბმულნი არიან დემოკრატიული

მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავ-ლების პროცესში, როგორც სახელმწიფო დონეზე, ასევე, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე, რაც იქნება გარანტი იმისა, რომ თითოე-ული ამ სუბიექტთაგანი მაქსიმალურად მოახერხებს საკუთარი წვლი-ლის შეტანას საერთო მიზნისაკენ სვლის საქმეში; პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა საჭიროა პოლიტიკურ მოღვაწეებს, საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე პროფესიონალებს, მოსწავ-ლეებსა და სტუდენტებს, მშობლებს, საგანმანათლებლო დაწესე-ბულებებს, განათლების სფეროს ხელმძღვანელებს, სახელმწიფო მოსამსახურეებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, მასობრივ საინფორმაციო საშუალებებსა და ფართო საზოგადოებას შორის.

კ) ადამიანის უფლებათა ღირებულებებისა და ვალდებულებების საერთა-შორისო ხასიათიდან გამომდინარე და, აგრეთვე, დემოკრატიისა და კანონ-ის უზენაესობის საერთო საზოგადო პრინციპებიდან გამომდინარე, აუცი-ლებელია, წევრი ქვეყნების მიერ წახალისებულ და ხელშეწყობილ იქნეს თანამშრომლობა საერთაშორისო და რეგიონულ დონეებზე, იმ საქმიანო-ბებთან დაკავშირებით, რომელსაც გულისხმობს წინამდებარე ქარტია და, ასევე, საჭიროა საუკეთესო პრაქტიკის ურთიერთგაზიარების ხელშეწყობა.

ნაწილი III – პოლიტიკური კურსი

6. ზოგადი და პროფესიული ფორმალური განათლება

წევრ ქვეყნებს ევალებათ, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის გა-ნათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების ჩართვა როგორც სკოლამდელ, დაწყებითი, საბაზო და საშუალო სკოლის ფორმალური განათლების სასწავლო პროგრამებში, ასევე, ზოგადი და პროფესი-ული განათლებისა და წვრთნების პროგრამებში. წევრ ქვეყნებს, ასე-

ვე, ევალებათ, ამ სასწავლო პროგრამების ფარგლებში, გააგრძელონ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების მხარდაჭერა, შემოწმება და მოდერნიზება, რაც იქნება გარანტი იმისა, რომ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლება და ადამიანის უფლებათა სწავლება იქნება შესაბამისი და შენარჩუნებულ იქნება ამ მიმართულებით გატარებული კურსის მდგრადობა.

7. უმაღლესი განათლება

წევრ სახელმწიფოებს ევალებათ, აკადემიური თავისუფლების პრინციპების დაცვით, ხელი შეუწყონ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების დანერგვას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, განსაკუთრებით იმ სტუდენტებს შორის, რომლებიც მომავალში საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე პროფესიონალებად უნდა ჩამოყალიბდნენ.

8. დემოკრატიული მმართველობა

წევრ სახელმწიფოებს ევალებათ, ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხელი შეუწყონ დემოკრატიულ მმართველობას, როგორც მმართველობის თავისთავად სასურველ და სარგებლის მომტან მეთოდს და, ასევე, დემოკრატიის სწავლების და განხორციელებისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემის პრაქტიკულ საშუალებას. მათ ევალებათ, სათანადო საშუალებების გამოყენებით, წაახალისონ და ხელი შეუწყონ მოსწავლეებისა და სტუდენტების, მოსწავლეებისა და სტუდენტების განათლებაზე პასუხისმგებელი პერსონალისა და ყველა დაინტერესებული სუბიექტის, მათ შორის, მშობლების აქტიურ ჩართულობას საგანმანათლებლო დაწესებულებების მმართველობაში.

9. წვრთნა

წევრ სახელმწიფოებს ევალებათ, უზრუნველყონ მასწავლებლების, მოსწავლეთა და სტუდენტთა განათლებაზე პასუხისმგებელი სხვა პერსონალის, მოსწავლეებისა და სტუდენტების კავშირთა ხელმძღვანელებისა და ტრენერების პირველდაწყებითი და მიმდინარე წვრთნა და განვითარება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების სფეროში, რაც იქნება გარანტი იმისა, რომ მათ სრულყოფილი ცოდნა და ნათელი წარმოდგენა ექნებათ მოცემული დისციპლინის მიზნებისა და პრინციპების, და შესაბამისი სწავლებისა და სწავლის მეთოდების შესახებ, ისევე, როგორც სხვა უნარ-ჩვევები, რომლებიც უკავშირდება მოცემულ სფეროში განათლებას.

10. არასამთავრობო ორგანიზაციების, ახალგაზრდული ორგანიზაციების და სხვა დაინტერესებულ სუბიექტთა როლი

წევრ სახელმწიფოებს ევალებათ, ხელი შეუწყონ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, რათა მათ საკუთარი წვლილი შეიტანონ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების საქმეში, განსაკუთრებით, ფორმალური სასწავლო გარემოდან განსხვავებულ გარემოში მიღებული განათლების სფეროში. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ ამ ორგანიზაციათა ღვაწლი და განათლების სისტემაში მათი საქმიანობის მნიშვნელობა, გაუწიონ მათ საჭირო დახმარება იქ, სადაც არსებობს ამის საშუალება და ხელი შეუწყონ მსგავს ორგანიზაციებს, რათა მათ შეძლონ, მაქსიმალურად გამოიყენონ დაგროვილი გამოცდილება და საკუთარი წვლილი შეიტანონ განათლების ყველა ფორმაში. წევრმა სახელმწიფოებმა, ასევე, უნდა უზრუნველყონ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების გასაჯაროება და დაინტერესებული სუბიექტების, განსაკუთრებთ, მედიასაშუალებებისა

და ფართო საზოგადოების ჩართულობა ამ სფეროში, რათა დაინტერესებულ სუბიექტებს საშუალება მიეცეთ, მაქსიმალური წვლილი შეიტანონ ამ მიმართულებით მიმდინარე პროცესებში.

11. შეფასების კრიტერიუმები

წევრ სახელმწიფოებს ევალებათ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების პროგრამების ეფექტურობის შეფასების კრიტერიუმების შემუშავება. ყველა მსგავსი შეფასების განუყოფელ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს მოსწავლეთა და სტუდენტთა მიერ გაკეთებული კომენტარები და შენიშვნები.

12. კვლევა

წევრ სახელმწიფოებს ევალებათ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების სფეროში კვლევის ინიცირება და ხელშეწყობა, რომელიც უზრუნველყოფს ამ სფეროში არსებული სიტუაციის შესახებ შეფასებების გაკეთებას და დაინტერესებული სუბიექტებისათვის, მათ შორის, პოლიტიკური მოღვაწეებისათვის, საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, სკოლების ხელმძღვანელებისათვის, მასწავლებლებისათვის, მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვისა და ახალგაზრდული ორგანიზაციებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რაც დაეხმარება მათ, შეაფასონ და გაზარდონ თავიანთი ეფექტურობა და ეფექტიანობა და გააუმჯობესონ მათ მიერ წარმოებული პრაქტიკა. მსგავსი კვლევა, გარდა სხვა დანარჩენისა, უნდა მოიცავდეს სასწავლო პროგრამების კვლევას, ინოვაციურ პრაქტიკას, სწავლების მეთოდებს და შეფასების სისტემათა, მათ შორის, შეფასების კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების სისტემათა განვითარებას. წევრ სახელმწიფოებს ევალებათ, საკუთარი კვლევის შედეგები გაუზიარონ სხვა წევრ სახელმწიფოებს და დაინტერესებულ სუბიექტებს იქ, სადაც ამის საჭიროება არსებობს.

13. სოციალური ერთობის გამტკიცების, მრავალფეროვნების დაფასებისა და უთანხმოებებისა და კონფლიქტების მოგვარების უნარი

განათლების ყველა სფეროში, წევრ სახელმწიფოებს ევალებათ, წინ წამოწიონ საგანმანათლებლო მიდგომა და სწავლების მეთოდები, რომლებიც ემსახურება დემოკრატიულ და მულტიკულტურულ საზოგადოებაში თანაცხოვრების სწავლის მიზანს და, ასევე, რომლებიც საშუალებას აძლევს შემსწავლელ სუბიექტს, შეიძინოს სათანადო ცოდნა და უნარები, რომელიც მას დაეხმარება სოციალური ერთობის ხელშეწყობაში, მრავალფეროვნებისა და თანაბარუფლებიანობის დაფასებაში, განსხვავებათა ჯეროვნად შეფასებასა და გაცნობიერებაში — განსაკუთრებით, სხვადასხვა რელიგიურ და ეთნიკურ ჯგუფებს შორის არსებულ განსხვავებათა შეფასებაში — და უთანხმოებათა და კონფლიქტურ სიტუაციათა არაძალადობრივი გზით მოგვარებაში, ისე, რომ დაცული იყოს ყველა მონაწილე მხარის უფლება და, აგრეთვე, დისკრიმინაციისა და ძალადობის ყველანაირი სახის გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლაში, განსაკუთრებით, როდესაც ადგილი აქვს დაშინებასა და ჩაგვრას.

ნაწილი IV — შეფასება და თანამშრომლობა

14. შეფასება და შემოწმება

წევრ სახელმწიფოებს ევალებათ, რეგულარულად აწარმოონ იმ სტრატეგიებისა და კურსის შეფასება, რომელიც მათ მიერ იქნა შერჩეული წინამდებარე ქარტიასთან დაკავშირებით და, საჭიროების შემთხვევაში, ამ სტრატეგიებსა და კურსში შეიტანონ სათანადო ცვლილებები. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია სხვა წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობით, მაგალითად, რეგულარული კონსულტაციებისა და ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის საშუალებით. ასევე, ნებისმიერ

წევრ ქვეყანას აქვს საშუალება, დახმარებისათვის მიმართოს ევროპის საბჭოს.

15. თანამშრომლობა შემდგომი საქმიანობისას

საშუალების არსებობის შემთხვევაში, წევრი სახელმწიფოები უნდა თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან, ევროპის საბჭოს საშუალებით, წინამდებარე ქარტიაში დასახული მიზნებისა და პრინციპების განხორციელების საქმეში, შემდეგი გზებით:

ა) მოქმედებდნენ შეთანხმებულად, საერთო ინტერესების შესახებ და პრიორიტეტულ საკითხებში;

ბ) ხელს უწყობდნენ მრავალმხრივ და ტრანსსასაზღვრო საქმიანობას, მათ შორის, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების სფეროში მოღვაწე კოორდინატორთა არსებული ქსელის საშუალებით;

გ) აწარმოებდნენ მოცემულ სფეროში დაგროვილი საუკეთესო პრაქტიკის გაცვლა-გამოცვლას, განვითარებას, კოდიფიცირებასა და გავრცელებას;

დ) უზრუნველყოფდნენ ყველა დაინტერესებული სუბიექტის, მათ შორის, საზოგადოების ინფორმირებულობას წინამდებარე ქარტიის მიზნებისა და განხორციელების შესახებ;

ე) ხელს უწყობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე პროფესიონალთა ევროპული ქსელების მოღვაწეობასა და მათ შორის თანამშრომლობას.

16. თანამშრომლობა საერთაშორისო დონეზე

წევრ სახელმწიფოებს ევალებათ, გაუზიარონ სხვა საერთაშორისო ორ-განიზაციებს მათ მიერ, ევროპის საბჭოს ფარგლებში, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლე-ბის სფეროში ჩატარებული სამუშაოების შედეგები.

განმარტებითი მემორანდუმი

I. წინაპირობა, წყაროები და მოლაპარაკებების ისტორია

1. ევროპის საბჭოს ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ (შემდგომში ქარტია), რომელიც მიღებულ იქნა მინისტრთა კომიტეტის მიერ დამტკიცებული რეკომენდაციის CM/Rec (2010)7 ფარგლებში, წარმოადგენს ევროპის საბჭოს მიერ ამ სფეროში ჩატარებული სამუშაოს მნიშვნელოვან ეტაპს.

აღნიშნული მიმართულებით განხორციელებულ სამუშაოს საფუძველი ჩაეყარა ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მე-2 სამიტზე, რომელიც შედგა სტრასბურგში, 1997 წლის 10 და 11 ოქტომბერს, რომლის ფარგლებშიც, სახელმწიფო და მთავრობის მეთაურებმა გადაწყვიტეს:

> გამოსულიყვნენ ინიციატივით დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების თაობაზე, იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოთ მოქალაქეთა ინფორმირებულობისათვის დემოკრატიულ საზოგადოებაში მათი უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ. (ევროპის საბჭოს

წევრ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მე-2 სამიტის დასკვნითი დეკლარაცია)

აღნიშნული გადაწყვეტილება ასახავდა ევროპის საბჭოს ძირითადი ღირებულებების, როგორიცაა, დემოკრატია, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა, გავრცელებისა და, ასევე, ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევათა აღკვეთის საქმეში განათლების როლის მნიშვნელობის გაცნობიერებას. უფრო ზოგადად, განათლება დღითიდღე უფრო მეტად აღიქმებოდა, როგორც ძალადობის, რასიზმის, ექსტრემიზმის, ქსენოფობიის, დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობის აღზევებისაგან დაცვის მექანიზმი. ასევე, საზოგადოდ იყო აღიარებული განათლების წვლილი სოციალური ერთობისა და სოციალური სამართლიანობის მიღწევის საქმეში. მეორე სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებით, ორგანიზაციამ მოიპოვა მანდატი მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა სწავლების მიმართულებით ფართომასშტაბიანი პროგრამების შექმნა-განვითარებისათვის, როგორც ფორმალური განათლების, ასევე, ფორმალური სასწავლო გარემოდან განსხვავებულ გარემოში მიღებული განათლების სფეროში.

2. მე-2 სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების პრაქტიკაში დანერგვა განხორციელდა პოლიტიკურ დონეზე, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ დეკლარაციისა და სამოქმედო პროგრამის მომზადებით, რომელიც მიღებულ იქნა ბუდაპეშტში, მინისტრთა კომიტეტის 1999 წლის 7 მაისის შეხვედრაზე. ოპერატიულ დონეზე, აღნიშნული პროექტის პირველ ფაზაში 1997 წლიდან 2000 წლამდე, ევროპის საბჭოს სხვადასხვა სექტორი ერთობლივად მუშაობდა განმარტებების, ძირითადი ცნებების, მეთოდების, პრაქტიკისა და მასალის გამოკვლევაზე და ტიპიური პროექტების მხარდასაჭერად („მოქალაქეობის ადგილები“). 2000 წლის ოქტომბერში, პროექტის პირველი ფაზის შედეგები მოწონებულ იქნა განათლების

მინისტრთა შეხვედრაზე, კრაკოვში. ამავე შეხვედრაზე განათლების მინისტრებმა დაადასტურეს, რომ პროექტი უნდა გაგრძელებულიყო და მოითხოვეს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია ამ სფეროში.

3. 2001 წლიდან 2004 წლამდე, აღნიშნული პროექტის მე-2 ფაზის განმავლობაში, მიმდინარეობდა კურსის დახვეწა, დაარსდა წევრ სახელმწიფოთა წარმომადგენელი, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების კოორდინატორთა ქსელი და ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები „განათლება მოქალაქეობის მეშვეობით" ევროპული წლისათვის (შემდგომში წელი), რომელიც 2005 წლისათვის იყო დაგეგმილი. მე-2 ფაზის განმავლობაში, ასევე, მნიშვნელოვან წინსვლას ჰქონდა ადგილი, 2002 წლის ოქტომბერში, განათლების მინისტრების მიერ მოთხოვნილი რეკომენდაციის Rec (2002)12 მიღების თვალსაზრისით, რომელიც მომზადდა მინისტრთა კომიტეტის მიერ და მოიცავდა წევრი სახელმწიფოებისათვის განკუთვნილ რეკომენდაციებს დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების საკითხებზე.

4. 2005 წელს „წელმა" წარმატებით ჩაიარა და შედეგად გამოიღო ის, რომ წევრ ქვეყნებში კიდევ უფრო გამყარდა რწმენა დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების როლის მნიშვნელობის შესახებ და, ასევე, გაიზარდა რაოდენობა იმ ქვეყნებისა, სადაც ამგვარი განათლება შეტანილ იქნა სასწავლო პროგრამებში და წარმოადგენდა გრძელვადიანი საგანმანათლებო პროგრამების ნაწილს. „წელი" და შემაჯამებელი კონფერენცია, რომელიც გაიმართა რუმინეთში, სინაიაში, და რომელმაც დაასრულა „წელი", ქვეყნებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის წარმოადგენდა შესაძლებლობას, რათა მათ გაეზიარებინათ ამ სფეროში საუკეთესო პრაქტიკის უამრავი მაგალითი.

5. წევრი სახელმწიფოების პროგრესი, როგორც აღებული კურსის, ასევე პრაქტიკული ნაბიჯების თვალსაზრისით, რომელიც მათ „წლის"

განმავლობაში აჩვენეს, იყო დასტური იმისა, რომ სახელმწიფოები ასრულებდნენ რეკომენდაციაში Rec (2002)12 შესულ რეკომენდაციებს, მიუხედავად ამისა, საწყის ეტაპზევე გაისმოდა მოწოდებები ამ სფეროში უფრო არსებითი პოლიტიკური ჩარჩო-დოკუმენტის შემუშავების შესახებ, რომელიც ვალდებულებების შემცველი დოკუმენტი იქნებოდა. 2004 წლის ოქტომბერში, საპარლამენტო ასამბლეამ გასცა რეკომენდაცია (ასამბლეის რეკომენდაცია 1682 (2004), ევროპაში განათლების შესახებ) იმის თაობაზე, რომ მინისტრთა კომიტეტს შეემუშავებინა ევროპული ჩარჩო-კონვენცია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ. 2004 წლის დეკემბერში, კულტურული თანამშრომლობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ვროკლავის დეკლარაციაში, რომელიც მიღებულ იქნა ევროპის კულტურული კონვენციის (Ets No. 18) მხარე-ქვეყნების კულტურის, განათლების, ახალგაზრდობისა და სპორტის მინისტრთა მიერ, ნათქვამი იყო, რომ „ევროპის საბჭომ საჭიროა გაამყაროს თავისი როლი, როგორც წარმატებული და მაღალკვალიფიცირებული ცენტრისა, სადაც წარმოებს იმ კურსისა და მიმართულებების შემუშავება, რომელიც ხალხს გადასცემს დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრებისათვის საჭირო ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს... ამ მიზნით, საჭიროა ყურადღება დაეთმოს ევროპული სტანდარტების შემუშავებას, საყოველთაოდ მიღებული, შესაბამისი მექანიზმების საშუალებით...“ ვარშავაში, 2005 წლის მაისში გამართულ, ევროპის საბჭოს სახელმწიფო და მთავრობათა მეთაურების მე-3 შეხვედრაზე, მთავრობათა მეთაურების მხრიდან გაიჟღერა მოწოდებამ, „ევროპის საბჭოს მხრიდან გაზრდილი ძალისხმევის გამოჩენის თაობაზე, რომელიც მიმართული იქნება განათლების იმ სფეროსაკენ, რომლის მიზანიც იქნება ევროპის მასშტაბით ყველა ახალგაზრდისათვის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, განათლების ხარისხის გაუმჯობესება და, სხვა ელემენტებთან ერთად, ადამიანის უფლებათა სრულყოფილი სწავლებისათვის ხელშეწყობა“. 2007 წლის მაისში, სტამბულში გამართულ, ევროპის განათლების მინის-

ტრთა მუდმივმოქმედი კონფერენციის 22-ე სესიაზე, ევროპის განათლებისა და კულტურის მინისტრთა მუდმივმოქმედი კონფერენციის პრეზიდენტმა ლანდერიდან, გერმანია, აღნიშნა, რომ გერმანია მაინცდამაინც არ იყო დაინტერესებული დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ პოლიტიკური ჩარჩო-დოკუმენტის მომზადების იდეით, მაგრამ სხვა წევრი სახელმწიფოების მიერ გამოთქმული პოზიცია რადიკალურად განსხვავდებოდა გერმანიის პოზიციისაგან. თუმცა გერმანია ძალიან კარგად ხედავდა და აღიქვამდა, რომ ბევრ ქვეყანას ესაჭიროებოდა მითითებები ევროპის საბჭოდან და, დარწმუნებული იყო, რომ შესაძლებელი იყო, გამონახულიყო ყველასათვის მისაღები კომპრომისი.

6. ამავდროულად, მოვლენები პარალელურად ვითარდებოდა ახალგაზრდული პოლიტიკის სფეროში. ადამიანის უფლებათა სწავლების ახალგაზრდულ პროგრამას საფუძველი ჩაეყარა 2000 წელს, რაც მიზნად ისახავდა „ადამიანის უფლებათა სწავლების ჩართვას ახალგაზრდულ პოლიტიკასა და ახალგაზრდათა სამუშაო პრაქტიკაში“. ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ევროპის მინისტრთა მე-7 კონფერენციაზე მინისტრების მხრიდან, ევროპის საბჭოს მისამართით, გამოითქვა გამამხნევებელი მოწოდება, მომზადებულიყო მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის პროექტი, ახალგაზრდებისათვის ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ, რომელიც განკუთვნილი იქნებოდა წევრი სახელმწიფოებისათვის და, რომელშიც უნდა შესულიყო დებულებები, რომლებიც მოემსახურებოდა ევროპის თანამშრომლობის გამყარებას ძალადობის აღკვეთის სფეროში და დებულებები, რომლებიც დაეფუძნებოდა ადამიანის უფლებათა სწავლების ევროპის საბჭოს ახალგაზრდული პროგრამის გამოცდილებას. მინისტრთა კომიტეტმა, საკუთარ რეზოლუციაში (2008) 23, რომელიც ევროპის საბჭოს ახალგაზრდულ პოლიტიკას ეხებოდა, კიდევ უფრო მკაფიოდ გამოკვეთა ადამიანის უფლებათა სწავლების ცენტრალური როლი ახალგაზრდულ პოლიტიკაში,

ადამიანის უფლებები და დემოკრატია ახალგაზრდული პოლიტიკის პრიორიტეტებად წარმოაჩინა, რაც „იქნება გარანტი იმისა, რომ ახალგაზრდები სრულყოფილად ისარგებლებენ ადამიანის უფლებებით და ექნებათ ადამიანის ღირსების სრულყოფილი აღქმა და რაც წაახალისებს მათ ჩართულობას ამ სფეროში“.

7. ევროპის საბჭოში ამასთან დაკავშირებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა იყო კულტურათშორისი დიალოგისადმი ინტერესის გაღვივება. ეს კონკრეტული სფერო დღითიდღე უფრო და უფრო მეტად ექცევა წევრ სახელმწიფოთა ყურადღების ცენტრში და ამჟამად ეს საკითხი წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს, რომლის დარეგულირებაზეც მუშაობს ევროპის საბჭო, სხვა ტრადიციული პრიორიტეტული სფეროების პარალელურად. დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებების სწავლების მნიშვნელობა კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობაში განსაკუთრებით იქნა წარმოჩენილი „კულტურათაშორისი დიალოგის თეთრ წიგნში“, რომელიც გამოიცა 2008 წელს.[1]

8. ამავდროულად, მსოფლიო არენაზე მოვლენები მსგავსი მიმართულებით ვითარდებოდა, განსაკუთრებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში (გაეროში). ადამიანის უფლებათა სწავლების მსოფლიო პროგრამა, რომელიც დამტკიცებულ იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 2004 წლის 10 დეკემბერს, მიზნად ისახავდა ადამიანის უფლებათა სწავლების დამკვიდრებასა და განვითარებას, პირველ ეტაპზე, წევრ სახელმწიფოებში, დაწყებითი და საბაზო-საშუალო სკოლების დონეზე. ევროპის საბჭო, ფორმალური შეთანხმების ფარგლებში, დახმარებას უწევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ევროპაში ადა-

[1] „კულტურათაშორისი დიალოგის თეთრი წიგნი: თანაბარი ღირსების მქონე ადამიანთა თანაცხოვრება“ დამტკიცებულ იქნა ევროპის საბჭოს 47 წევრი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების 118-ე სესიაზე (სტრასბურგი, 6-7 მაისი, 2008 წელი).

მიანის უფლებათა სწავლების მსოფლიო პროგრამის განხორციელებაში.

9. მოვლენათა ამგვარი განვითარების საპასუხოდ, ევროპის საბჭოს განათლების საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დამტკიცებული, ევროპის საბჭოს პროგრამა დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების პროექტის მესამე ფაზაში — 2006-2009 წლებში განსახორციელებელ მოქმედებათა შესახებ, ასევე ითვალისწინებდა მოსამზადებელ სამუშაოებს „დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებასა და ადამიანის უფლებათა სწავლებაზე რეკომენდაციის მიზანშეწონილობის კვლევისათვის (საყოველთაოდ მიღებული, შესაბამისი მექანიზმების საშუალებით)". მოცემული კვლევის პირობები გულისხმობდა ამ კონკრეტული მიმართულებით, ევროპული პოლიტიკური ჩარჩო-დოკუმენტის შექმნის აუცილებლობის კვლევას; როგორც ევროპის საბჭოში, ასევე, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ჩარჩო-დოკუმენტებისა და მექანიზმების გადასინჯვასა და ხარვეზებისა და ნაკლოვანებების იდენტიფიცირებას; კონსულტაციებს ახალი ჩარჩო-დოკუმენტის სარგებლის შესახებ; და კონსულტაციებს ამგვარი დოკუმენტის გამოყენების სფეროს, ფორმისა და შინაარსის შესახებ.

10. დაინიშნა ექპერტი, რომელსაც დაევალა მიზანშეწონილობის შესწავლა, რამდენიმე ქვეყნიდან შეკრებილ ექსპერტთა არაფორმალურ ჯგუფთან ერთად, რომელშიც შედიოდნენ როგორც განათლების სფეროში მომუშავე სპეციალისტები, ასევე, ახალგაზრდულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. კვლევის შედეგები განსახილველად წარმოდგენილ იქნა 2007 წლის აპრილში.

11. კვლევისას გამოყენებული ტერმინი „პოლიტიკური ჩარჩო-დოკუმენტი" ნიშნავდა საერთაშორისო ინსტრუმენტს (ვალდებულების შემცველს

ან ვალდებულებებისაგან თავისუფალს), რომელიც განკუთვნილი იყო სახელმწიფოებისათვის და შეიცავდა შეთანხმების შედეგად დამტკიცებულ სტანდარტებსა და პოლიტიკურ კურსს, რომელიც უნდა განხორციელებულიყო დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების სფეროში. კვლევისას გადასინჯულ და გამოკვლეულ იქნა ევროპის საბჭოს მიერ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების მიმართულებით ჩატარებული სამუშაოების სათავეები, რომლებიც ამავე ორგანიზაციის ძირითად მისიაში მოიაზრებოდა, რაც მდგომარეობს ადამიანის უფლებათა, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ხელშეწყობაში. მასში აღნიშნული იყო, რომ ევროპის საბჭოს პრაქტიკა, მისი წევრი სახელმწიფოების საერთო ინტერესისა და მოქმედების სფეროებში (ადამიანის უფლებები, ეროვნული უმცირესობები, სოციალური პოლიტიკა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და ა.შ.), მუდმივად გულისხმობდა სხვადასხვა ფორმის პოლიტიკური ჩარჩო-დოკუმენტების შედგენას, რომლებიც უზრუნველყოფენ წევრი სახელმწიფოების ყურადღების მიმართვას პრობლემური საკითხისადმი, მათ მზადყოფნას მოქმედებისათვის და, ასევე, ევროპის მასშტაბით საუკეთესო პრაქტიკის გავრცელება-დანერგვასა და სტანდარტების ამაღლებას. კვლევის პროცესში, ასევე, გადასინჯულ იქნა არსებული ინსტრუმენტები, განხორციელდა ამ ინსტრუმენტთა ხარვეზებისა და ნაკლოვანებების იდენტიფიცირება და ახალი ინსტრუმენტის სარგებლის დადგენა. კვლევის ფარგლებში განხილულ იქნა, თუ რა ფორმა შეიძლება მიეღო ინსტრუმენტს, ვალდებულებების შემცველი უნდა ყოფილიყო იგი თუ არა, ასევე, განხილულ იქნა მისი გამოყენების სფერო და შინაარსი.

12. კვლევის დასკვნაში მოცემულ რეკომენდაციაში ჩამოყალიბებულ იქნა, რომ მიზანშეწონილად იყო მიჩნეული, მიღებულიყო გადაწყვეტილება ამ სფეროში ახალი პოლიტიკური ჩარჩო-დოკუმენტის ფორმასა და შინაარსზე მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე.

13. 2007-2008 წლებში კვლევა პირველად წარედგინა დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა სპეციალურ ჯგუფს, ხოლო შემდეგ ევროპის საბჭოს ბევრ სხვა უწყებას, რომელთაგანაც ყველა გაეცნო აღნიშნულ კვლევას და საკუთარი კომენტარი გააკეთა მასზე. უწყებები, რომლებიც გაეცნენ აღნიშნულ კვლევას, იყვნენ: ადამიანის უფლებათა საორგანიზაციო კომიტეტი, ახალგაზრდათა საკითხებზე მომუშავე ერთობლივი საბჭო, უმაღლესი განათლების საორგანიზაციო კომიტეტი, განათლების საორგანიზაციო კომიტეტის ბიურო და ბოლოს, 2008 წლის მარტში, გაიმართა განათლების საორგანიზაციო კომიტეტის პლენარული სხდომა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილმა უწყებამ საკუთარი მოსაზრებები წერილობით მიაწოდა განათლების საორგანიზაციო კომიტეტს, ვინაიდან ეს კომიტეტი წარმოადგენს განათლებაზე პასუხისმგებელ ძირითად უწყებას. ასევე, მიმდინარეობდა კონსულტაციები წევრი ქვეყნების კოორდინატორებთან დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების საკითხებში, რომლებმაც თავიანთი მოსაზრებები მიაწოდეს განათლების საორგანიზაციო კომიტეტს.

14. განხილვის პერიოდში ჩამოყალიბდა და გამოიკვეთა მოსაზრებათა რამდენიმე კონკრეტული მიმართულება. პოლიტიკური და სამართლებრივი საფუძვლების კვლევის პროცესში, მიმდინარე სიტუაციისა და არსებული პოლიტიკური ჩარჩო-დოკუმენტების ხარვეზებისა და ნაკლოვანებების ანალიზის შედეგები, ძირითადად გაზიარებულ იქნა. იგივე ითქმის იმ დასკვნის შესახებ, რომ ახალი დოკუმენტი მნიშვნელოვან სარგებელს მოიტანდა. ამგვარი დოკუმენტის შინაარსთან დაკავშირებით, ერთსულოვნება გამოიკვეთა მისი გამოყენების სფეროს შესახებ და, ასევე, აღინიშნა, რომ საჭირო იყო ძირითადი ტერმინების მკაფიო და გასაგები განსაზღვრებების ჩამოყალიბება, ასევე, აღინიშნა, რომ საჭირო იყო დოკუმენტის ცალკე ნაწილი დათმობოდა მიზნების, პრინ-

ციპებისა და მიმართულების განსაზღვრას, რომელთა ზუსტი შინაარსის ჩამოყალიბებაც შემდგომი სერიოზული განხილვის საგანი უნდა გამხდარიყო. ნაკლებად იქნა გამოხატული ერთსულოვნება და თანხმობა იმ გარე მონიტორინგის მექანიზმის შემოტანასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობდა სახელმწიფოების მხრიდან რეგულარული ანგარიშების წარმოდგენას ახალ დოკუმენტში ჩამოყალიბებული მოთხოვნების შესრულების შესახებ, რომელსაც განიხილავდა ევროპის საბჭოს ექსპერტთა კომიტეტი, დაურთავდა მათ საკუთარ კომენტარებსა და რეკომენდაციებს. ზოგი მიიჩნევდა, რომ მსგავსი პრაქტიკა მრავალი სარგებლის მომტანი იქნებოდა, ხოლო ზოგი მიიჩნევდა, რომ ეს ზედმეტი და არასაჭირო ტვირთი იქნებოდა. რაც შეეხება დოკუმენტის ფორმას, მოსაზრებები აქაც გაიყო, ზოგი უპირატესობას ანიჭებდა დოკუმენტს, რომელიც სახელმწიფოებს ვალდებულებებს დააკისრებდა, ხოლო ზოგი - დოკუმენტს, რომელიც არ დააკისრებდა მსგავს ვალდებულებებს.

15. 2008 წლის 10 მარტს გამართულ პლენარულ შეხვედრაზე განათლების საორგანიზაციო კომიტეტმა, ორგანომ რომელსაც ეკუთვნოდა კვლევის წამოწყების ინიციატივა, გაითვალისწინა რა სხვა უწყებების კომენტარები, მოიწონა ჩატარებული სამუშაო და მიიღო გადაწყვეტილება, „პოლიტიკური ჩარჩო-დოკუმენტის შესახებ დებატები გაგრძელებულიყო, დოკუმენტის პროექტის შექმნის მიმართულებით, რომელიც მოიცავდა დოკუმენტის ორ ვარიანტს, აქედან ერთ ვარიანტში შესული იქნებოდა ვალდებულებები, ხოლო მეორეში — არა და, ასევე, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების საკითხების გამო შექმნილი მრჩეველთა სპეციალური ჯგუფის მიერ მოცემულ ინსტრუმენტთან დაკავშირებით ჩატარებული სამუშაოს შედეგები“. განათლების საორგანიზაციო კომიტეტმა საკუთარი რიგებიდან შეარჩია რამდენიმე პირი, მათ შეადგინეს პროექტის მომზადებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი და მოსთხოვეს ევროპის საბჭოს სამდივნოს, აღნიშნული ჯგუფის რიგები შეევ-

სო განათლებისა და ახალგაზრდობის საკითხებში გამოცდილების მქონე წევრებით. განათლების საორგანიზაციო კომიტეტმა ითხოვა, რომ დოკუმენტის პროექტის ორი ვარიანტი მას გადასცემოდა გონივრულ ვადებში, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მისი განხილვა 2009 წლის მარტში დაგეგმილ შეხვედრაზე.

16. პროექტის მომზადებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი შეიკრიბა სამჯერ, 2009 წლის ივნისში, სექტემბერსა და ნოემბერში. პირველი შეხვედრის დროს ჯგუფის წევრებმა შეაჯერეს საკუთარი მოსაზრებები დოკუმენტის ორი პროექტის სამართლებრივი ფორმის, ზოგადი ფორმისა და შინაარსის შესახებ და მიიღეს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ თხოვნით მიემართათ კვლევის ხელმძღვანელი პირისათვის, რათა მას შეედგინა ორი ტექსტის პირველი პროექტები. მეორე შეხვედრისას, ჯგუფმა პირველად განიხილა ორი ალტერნატიული პროექტი და დაურთო მათ მთელი რიგი კომენტარებისა, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა უკვე შესწორებულ პროექტებში, რომელთა წარდგენაც მოხდა ჯგუფის მესამე შეხვედრაზე, რომლის დროსაც განხორციელდა ტექსტების შემდგომი კორექტირება, თითქმის ყველა სადავო საკითხის შესახებ მიღწეულ იქნა შეთანხმება. განათლების საორგანიზაციო კომიტეტის ბიუროს დეკემბრის შეხვედრაზე გასატანად შეირჩა მხოლოდ რამდენიმე ვარიანტი. ბიუროზე გაკეთდა არჩევანი და დამტკიცდა პროექტები, რომლებიც განსახილველად გატანილი უნდა ყოფილიყო განათლების საორგანიზაციო ბიუროს პლენარულ შეხვედრაზე.

17. განათლების საორგანიზაციო კომიტეტის 2009 წლის მარტში გამართულ პლენარულ შეხვედრაზე წარმოდგენილ იქნა დოკუმენტის პროექტის ორი ვარიანტი. ეს ორი ვარიანტი არსებითად თითქმის იდენტური იყო, ვინაიდან მოთხოვნები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილებულიყო და მიზნები, რომლებიც მიღწეულიყო, ორივე ვარიანტში ერთმანეთის ანალოგიური იყო. სხვაობა მხოლოდ ფორმასა და სა-

მართლებრივ საფუძვლებში იყო გამოხატული, ვინაიდან ერთი მათგანი ფორმით წარმოადგენდა ჩარჩო-კონვენციას, მასში ჩადებული იყო ვალდებულებები, ხოლო მეორე ქარტიას, რომელშიც არ იყო ჩადებული ვალდებულებები და რომელშიც გამოყენებული იყო უფრო შერბილებული ენა („ვალდებულია“-ს ნაცვლად „ევალება“). ერთადერთი არსებითი შინაარსობრივი განსხვავება გამოხატული იყო იმ ნაწილში, რომელიც მონიტორინგს ეხებოდა, კონვენციის პროექტში მოცემული იყო მექანიზმი, რომელიც გულისხმობდა სახელმწიფოების მხრიდან ანგარიშების მომზადებას და გარე ზედამხედველობას, თუმცა ერთგვარად შერბილებული ფორმით, მაშინ როცა ქარტიის პროექტში მოცემული იყო სახელმწიფოების მხრიდან თვითშეფასების მექანიზმი.

18. ამის შემდგომ გამართულ დებატებში სახელმწიფოთა ყველა წარმომადგენელი, რომელიც სიტყვით წარდგა, თანხმდებოდა მასზედ, რომ საჭირო იყო ახალი დოკუმენტის მიღება და მონაწილეთა დიდმა უმრავლესობამ უპირატესობა მიანიჭა ქარტიას, სადაც არ იყო შესული ვალდებულებები. 2009 წლის 20 მარტს კომიტეტმა მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება, რომელიც ფორმალურად იქნა ჩაწერილი:

კომიტეტმა:

- ☐ დადებითად შეაფასა დოკუმენტის პროექტზე პასუხისმგებელი ჯგუფის მუშაობის შედეგები, რომელმაც მოამზადა პოლიტიკური ჩარჩო-დოკუმენტი;

- ☐ განიხილა ჯგუფის მიერ მოწოდებული ორი ვარიანტი და გააკეთა არჩევანი, რომლითაც უპირატესობა მიანიჭა ქარტიას დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ;

- ☐ ხაზგასმით აღნიშნა მსგავსი ქარტიის მნიშვნელობა წევრ სახელმწიფოებში დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების კურსისა და პრაქტიკის განვითარების უზრუნველყოფის საქმეში;

- ☐ შეადგინა განვითარების გეგმა, რომლის მიხედვითაც ქარტიის საბოლოო ვარიანტი მზად უნდა ყოფილიყო განათლების საორგანიზაციო კომიტეტის 2010 წლის პლენარულ სესიამდე...“

19. განვითარების გეგმის პირველ ეტაპზე დაგეგმილი იყო ყველა დელეგაციის მოწვევა, რათა მათ მოეწოდებინათ ნებისმიერი წინადადება, ქარტიის არსებულ ტექსტში ცვლილების შესახებ, რომლისთვისაც განისაზღვრა ბოლო ვადა. აღნიშნული წინადადებების განხილვა დაევალა მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელიც შედგებოდა განათლების საორგანიზაციო კომიტეტის მოქმედი და ყოფილი თავმჯდომარეებისაგან, რომელთაც დახმარებას უწევდა კვლევის ავტორი და რომელიც ღია იყო იმ დელეგაციებისათვის, რომლებსაც შემოტანილი ჰქონდათ წინადადებები ქარტიის ტექსტში ცვლილებების შეტანის შესახებ და რომლებიც გამოთქვამდნენ სურვილს ქარტიის პროექტის შექმნაში მონაწილეობის მიღების თაობაზე. აღნიშნული ჯგუფი შეიკრიბა 2009 წლის ივნისში და განიხილა ყველა შემოთავაზებული ცვლილება, რომელთაგანაც ნაწილი გათვალისწინებულ იქნა, ხოლო ნაწილი — არა. პროექტის რამდენიმე ნაწილში შეტანილ იქნა უფრო არსებითი ცვლილებები, ვინაიდან ამოსავლად აღებულ იქნა შემოთავაზებული ცვლილება, ხოლო პროექტის ზოგიერთ ნაწილში ცვლილებების შეტანა თავად ჯგუფის ინიციატივით განხორციელდა.

20. განათლების საორგანიზაციო კომიტეტის ბიურო შეიკრიბა 2009 წლის 9-10 სექტემბერს და განიხილა ქარტიის ტექსტი, ივნისის შეხვედრაზე ჩამოყალიბებული ფორმით, სამართლებრივი საკითხების ევროპის საბ-

ჭოს დეპარტამენტის 2009 წლის 4 სექტემბრით დათარიღებული რჩევის გათვალისწინებით. ამ რჩევის ძირითად არსს წარმოადგენდა ის, რომ ევროპის საბჭოს პრაქტიკასთან შესაბამისობის შენარჩუნების მიზნით, ქარტია მიღებულ უნდა ყოფილიყო მინისტრთა კომიტეტის რეკომენ-დაციის ფარგლებში. განათლების საორგანიზაციო კომიტეტის ბიურომ, შესწორებული პროექტი, რჩევასთან ერთად გადაუგზავნა 2009 წლის 10 და 11 დეკემბრისათვის დაგეგმილ რიგგარეშე შეხვედრას. ბიურომ, ასევე, შეადგინა წინამდებარე განმარტებითი მემორანდუმის პირველი პროექტი და გადაუგზავნა იგი პლენარულ შეხვედრას. განათლების საორგანიზაციო კომიტეტის წევრები მოწვეულ იქნენ, რათა გაეკეთე-ბინათ კომენტარები და შემოსულიყვნენ ორივე ტექსტში ცვლილებების შეტანის წინადადებებით.

21. დეკემბრის შეხვედრაზე განათლების საორგანიზაციო კომიტეტმა გა-ნიხილა ქარტიის ტექსტში ცვლილებების შეტანის თაობაზე შემოსული წინადადებები. მან დაამტკიცა შესწორებული ვარიანტი, მიღებულ რჩე-ვასთან ერთად, რომლის თანახმადაც დოკუმენტში ქარტია შეტანილ იქნა მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის დამატების სახით, ხოლო ქარტიის პრეამბულა გადაკეთდა რეკომენდაციის პრეამბულად. აღი-ნიშნა, რომ მოცემული ფორმატი უდავოს გახდიდა ქარტიის არასავალ-დებულო ბუნებას, ვინაიდან არც ერთი რეკომენდაცია არ გულისხმობს ვალდებულებებს. განათლების საორგანიზაციო კომიტეტის წევრები ასევე შეთანხმდნენ ქარტიის ტექსტში რამდენიმე სხვა ცვლილების შე-ტანაზე. განათლების საორგანიზაციო კომიტეტის წევრებმა განიხილეს განმარტებით მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე შემოსუ-ლი წინადადებები და ითხოვეს, მომზადებულიყო პროექტი მასში შესუ-ლი ცვლილებებით.

22. 2010 წლის 24 და 26 თებერვლის შეხვედრაზე განათლების საორგა-ნიზაციო კომიტეტმა განიხილა დემოკრატიული მოქალაქეობისათვის

განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ ევროპული ქარტიის თაობაზე მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის პროექტის საბოლოო ვარიანტი და მისი განმარტებითი მემორანდუმი. განათლების საორგანიზაციო კომიტეტმა გადაწყვიტა, მოეწონებინა რეკომენდაციის პროექტი და გადაეგზავნა იგი მინისტრთა კომიტეტისათვის დასამტკიცებლად. განათლების საორგანიზაციო კომიტეტმა გულდასმით გადასინჯა რეკომენდაციის პროექტის განმარტებითი მემორანდუმი და მიიღო გადაწყვეტილება, ინფორმაციის სახით გადაეგზავნა იგი მინისტრთა კომიტეტისათვის.

II. კომენტარები რეკომენდაციისა და ქარტიის დებულებებზე

რეკომენდაცია: პრეამბულა და ფორმალური მუხლები

23. რეკომენდაცია იწყება ფორმალური შესავალი დებულებებით და პირველ[1] პარაგრაფში მოცემულია ის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც მოხდა ქარტიის მიღება, ეს მექანიზმი მანამდე გამოყენებული იყო ქარტიათა მიღების რიგ შემთხვევებში, განსაკუთრებით, სპორტის სფეროში. ამის შემდგომ, ჩვეულებისამებრ, პრეამბულის დანარჩენ ნაწილში მოცემულია ის ფაქტორები, რომლებმაც განაპირობა წევრი სახელმწიფოების მიერ ქარტიის მიღება და მკითხველისათვის განმარტებულია ქარტიის საფუძვლები და მიზნები. პარაგრაფები, რომლებიც იწყება სიტყვებით: „ითვალისწინებს რა“, „ეყრდნობა რა“ და ა. შ. ასევე გვხვდება ხელშეკრულების ტიპის დოკუმენტებში, მაგრამ ეს არ არის მანიშნებელი იმისა, რომ წინამდებარე დოკუმენტი ხელშეკრულების ტიპის დოკუმენტს წარმოადგენს, ვინაიდან მოცემული ფორმა, ჩვეულებრივ,

[1] ქარტიის ტექსტში, პრეამბულის პარაგრაფები ნომრების გარეშეა წარმოდგენილი, მაგრამ, მინიშნებათა გამარტივების მიზნით, ისინი დანომრილი სახით არის მოცემული განმარტებით მემორანდუმში (1-ლი პარაგრაფი გულისხმობს პრეამბულის პირველ აბზაცს, მე-2 პარაგრაფი – მე-2 აბზაცს და ა.შ.).

გამოიყენება მინისტრთა კომიტეტის მიერ გაცემულ რეკომენდაციებში, რომლებიც, როგორც წესი, არ შეიცავს ვალდებულებებს.

24. პრეამბულის მე-2 და მე-3 პარაგრაფში გადმოცემულია ევროპის საბჭოს ძირითადი მისია, რომელიც მდგომარეობს ადამიანის უფლებათა, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ხელშეწყობაში, ისევე როგორც მტკიცე რწმენა იმისა, რომ განათლებას შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს ამ მიზნების გაფართოებაში. 1997 წლიდან მოყოლებული, სწორედ ეს წარმოადგენდა დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების პროექტის საფუძველს და ეს წარმოადგენს წინამდებარე ქარტიის საფუძველსაც, რაც გამოიხატება წევრი სახელმწიფოების მხრიდან პროექტის განხორციელებისათვის გამოთქმულ მზადყოფნაში და იმ სტანდარტებში, რომლებსაც აყალიბებენ და რომელთა დაკმაყოფილების ვალდებულებასაც უყენებენ საკუთარ თავს წევრი სახელმწიფოები.

25. პრეამბულის პარაგრაფებში 4 და 5 მოყვანილია განათლებაზე უფლების სამართლებრივი საფუძვლები, რომლებიც ჩადებულია როგორც ადამიანის უფლებების შესახებ ევროპის კონვენციაში, ასევე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინსტრუმენტებში, რომელთა მიხედვითაც, მაგალითად, განათლება „აძლიერებს პატივისცემას ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი“ და „საშუალებას აძლევს ყველა ადამიანს, მონაწილეობა მიიღოს თავისუფალ საზოგადოებაში“ (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, 1966 წელი, მუხლი 13 (1)), ასევე, დამოწმებულია ვენის 1993 წლის დეკლარაცია, რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამებში ადამიანის უფლებათა შესახებ საგნის ჩართვის მნიშვნელობა და სადაც გაჟღერებულია მოწოდება სახელმწიფოების მიმართ, რათა მათ ჩართონ აღნიშნული საგანი თავიანთ საგანმანათლებლო პროგრამებში.

26. პრეამბულის პარაგრაფებში 7 და 8 მოყვანილია ევროპის საბჭოს მინისტრთა მიერ გაკეთებული ძირითადი პოლიტიკური დეკლარაციები და ევროპის საბჭოს ორგანოთა რეკომენდაციები, რომლებიც მნიშვნელოვან ნიშანსვეტებს წარმოადგენდა ქარტიის მიღებისაკენ სავალ გზაზე. ძალიან ბევრი თვალსაზრისით, წინამდებარე ქარტიის ყველაზე მნიშვნელოვან წინამორბედს წარმოადგენს ზემოთ ნახსენები მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია (2002)12, რომელიც ეხება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებას და რომელსაც მსგავსი საფუძვლები და მიზნები გააჩნდა.

27. პრეამბულის მე-11 პარაგრაფში ქარტია განხილულია გლობალურ კონტექსტში, ამავე პარაგრაფში გამოთქმულია წადილი და იმედი, რომ წინამდებარე ქარტია საკუთარ წვლილს შეიტანს ადამიანის უფლებათა სწავლების მსოფლიო პროგრამის მიზნების განხორციელებაში, რომლებიც წინამდებარე ქარტიის მიზნების ანალოგიურია, ვინაიდან ევროპაში ევროპის საბჭო წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეგიონულ პარტნიორს აღნიშნული პროგრამის განხორციელების საქმეში.

28. პრეამბულის მე-12 პარაგრაფი ეხება ევროპულ წელს 2005 - „განათლება მოქალაქეობის მეშვეობით“ - რომელიც ღირსშესანიშნავ მოვლენას წარმოადგენს დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების პროექტის განხორციელების ისტორიაში და წარმოაჩენს ქარტიის ერთ-ერთ ძირითად მიზანს, სახელდობრ, დაეყრდნოს ბევრ წევრ სახელმწიფოში დამკვიდრებულ განათლების სფეროში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც დადასტურდა კიდეც 2005 ევროპული წლის განმავლობაში, ამ პრაქტიკის კოდიფიცირებით და მისი ევროპის მასშტაბით გავრცელებით.

29. პრეამბულის მე-13 პარაგრაფში განხილულია განათლების ის მახასიათებელი, რომელიც მთელ ქარტიას გასდევს და რომელიც კონკრე-

ტულად ჩამოყალიბებულია მე-4 პარაგრაფში; კერძოდ, ეს არის სფერო, რომელშიც მნიშვნელოვანი სხვაობა იჩენს თავს წევრ სახელმწიფოთა განათლების სისტემებს შორის, და ამ სხვაობას ყოველთვის პატივისცემით უნდა მოვეკიდოთ. ეს სხვაობები შესაძლებელია იყოს კონსტიტუციიდან გამომდინარე, ასევე, განათლების სისტემათა ორგანიზებასთან დაკავშირებული. შესაბამისად, წინამდებარე ქარტიაში ჩამოყალიბებული კურსი და პრაქტიკა მორგებულ უნდა იქნეს ინდივიდუალურ სახელმწიფოთა კონსტიტუციურ და სტრუქტურულ სისტემებზე.

30. პრეამბულის მე-14 პარაგრაფში განხილულია განათლების მოცემულ სფეროში არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ახალგაზრდულ ორგანიზაციათა როლი. ფაქტობრივად, არაფორმალური განათლება სულ უფრო მეტად ხორციელდება მსგავსი ორგანიზაციების საშუალებით და, ამავდროულად, ეს ორგანიზაციები დიდ როლს თამაშობენ ფორმალური განათლების სფეროშიც; ბევრი სახელმწიფო დიდ იმედს ამყარებს მსგავს ორგანიზაციებზე, მოცემულ სფეროში განათლების ხელშეწყობის თვალსაზრისით. პრეამბულის მოცემულ პარაგრაფში, ისევე, როგორც მე-10 პარაგრაფში, აღიარებულია ამ სფეროში განხორციელებულ სამუშაოებში, ამ ორგანიზაციათა წვლილი და მათი როლის მნიშვნელობა.

31. რეკომენდაციის ფორმალური დასკვნითი მუხლები პრეამბულის ნაწილზე უფრო მეტად ნორმატიული და, შესაბამისად, ინდიკატიური (რეკომენდაციის) ხასიათისაა. მინისტრთა კომიტეტი გასცემს რეკომენდაციას, რომ წევრი სახელმწიფოების მთავრობებმა გაატარონ ქარტიის დანართში მოცემული ღონისძიებები და უზრუნველყონ მათი გაცნობა განათლებისა და ახალგაზრდობის საკითხებზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობისათვის. და ბოლოს, გენერალურ მდივანს ევალება, რეკომენდაცია მიაწოდოს ევროპის კულტურული კონვენციის მხარე-სახელმწიფოების მთავრობებს, რომლებიც არ წარმოადგენენ ევროპის საბჭოს წევრებს და, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებს. ეს კონკრეტული დებულება მეტყველებს დემოკრატიული მოქალაქეობისათვის

განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების ფართო საერთაშორისო ხასიათსა და სურვილზე, რომ ახალი ქარტია განხორციელდეს არა მარტო ევროპის ფარგლებში, არამედ მისი გავლენა გასცდეს ევროპის საზღვრებს.

ქარტია

სახელწოდება

32. ტერმინი „ქარტია“ საერთაშორისო პრაქტიკაში აღნიშნავს როგორც ვალდებულებების შემცველ ინსტრუმენტს, რომლის თვალსაჩინო მაგალითსაც წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტია, ასევე, ვალდებულებებისაგან თავისუფალ ინსტრუმენტს, როგორიცაა ევროპის გაერთიანების ადამიანის საყოველთაო უფლებათა და მოვალეობათა ქარტია (რომელიც თავდაპირველად მიღებულ იქნა 2000 წელს: 2005 წლის ლისაბონის ხელშეკრულებით, ევროპის გაერთიანების წევრ-სახელმწიფოთა უმრავლესობა შეთანხმდა, რომ ეს ქარტია სავალდებულო უნდა გამხდარიყო მათთვის, ხოლო დანარჩენი წევრი სახელმწიფოებისათვის იგი რჩება არასავალდებულო დოკუმენტად). ევროპის საბჭოს პრაქტიკაში მოცემული ტერმინი, ასევე, ორაზროვანი მნიშვნელობით არის ცნობილი: ევროპის სოციალური ქარტია (1961 წელი, მეორე შესწორებული გამოცემა 1996 წელი) ვალდებულებების შემცველი დოკუმენტია, მაგრამ ევროპის ქარტია ადგილობრივ და რეგიონულ ცხოვრებაში ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ (2003 წელი) არ წარმოადგენს ვალდებულებების შემცველ დოკუმენტს. ქარტიის სახელწოდებისა და ფორმის შერჩევა განპირობებული იყო სურვილით, ამ სფეროში შექმნილიყო უფრო საფუძვლიანი დოკუმენტი, ვიდრე აქამდე ყოფილა შექმნილი ევროპის საბჭოს ფარგლებში, რაც ნიშნავდა იმას, რომ დოკუმენტში შესული უნდა ყოფილიყო უფრო მყარი ვალდე-

ბულებები. მიუხედავად ამისა, ვინაიდან წევრ-სახელმწიფოთა მხრიდან აშკარად იქნა გამოთქმული განზრახვა იმის შესახებ, რომ ევროპის საბჭოს ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ უნდა ყოფილიყო ვალდებულებებისაგან თავისუფალი, როგორც საერთაშორისო საჯარო სამართლის საკითხი, თავდაპირველად შედგა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ, იმისათვის რათა დოკუმენტის ეს ასპექტი არ გამხდარიყო სადავო, დოკუმენტს დამატებოდა ქვესათაური „ქარტია კონვენციის სტატუსის გარეშე". თუმცა, მას შემდეგ, რაც გადაწყდა, რომ ქარტიის მიღება განხორციელებულიყო რეკომენდაციის ფარგლებში, მოცემული ქვესათაურის დართვის აუცილებლობა აღარ არსებობდა, ვინაიდან რეკომენდაცია და ნებისმიერი მასზე დართული დოკუმენტი არ წარმოადგენს ვალდებულებების შემცველ დოკუმენტს. შესაბამისად, შედგა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ქარტიის სახელწოდებაზე დართული ყოფილიყო: „მიღებულია მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის, CM/Rec (2010)7, ფარგლებში". იმ შემთხვევაში, თუ ქარტია ხშირად ქვეყნდება რეკომენდაციის ტექსტის გარეშე, რაც ფრიად სავარაუდოა, ეს სიტყვები ცხადს გახდის მის არასავალდებულო ხასიათს.

ნაწილი I – ზოგადი დებულებები

1. გამოყენების სფერო

33. მოცემული დებულება ეხება ქარტიის მატერიალური გამოყენების სფეროს. ერთ-ერთი ხარვეზი, რომელიც წინამდებარე ქარტიამდე შექმნილ ინსტრუმენტებში იქნა აღმოჩენილი იმ განხილვებისა და მოლაპარაკებების პროცესში, რომლის შედეგსაც წინამდებარე ქარტიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება წარმოადგენდა, იყო ის, რომ ბევრი მათგანი ეხებოდა ან მხოლოდ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის

განათლებას, ან მხოლოდ ადამიანის უფლებათა სწავლებას. გონივრულ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა მათი გაერთიანება, როგორც ერთმანეთისაგან განსხვავებული, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ასპექტებისა. სწორედ ამგვარი მიდგომა აღქმულ იქნა, როგორც ახალი ინსტრუმენტის ერთ-ერთი უპირატესობა. საკითხი, რომელიც ამის შემდეგ გამოვლინდა, მდგომარეობდა იმაში, თუ როგორ უნდა გაგვერთმია თავი რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგრამ განსხვავებული საკითხისათვის, რომელთაგანაც ოთხი მოცემულია ტექსტში. „კულტურათაშორისი განათლება“ მიზნად ისახავს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვასა და ხელშეწყობას, იმ ცოდნის, კომპეტენციების, უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარების საშუალებით, რომლებიც საჭიროა მულტიკულტურულ საზოგადოებაში ურთიერთგაგებისა და ურთიერთპატივისცემისათვის. „განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა“ და „განათლება მშვიდობისათვის“ თავისთავად შეიცავს განმარტებებს. „განათლება მდგრადი განვითარებისათვის“ გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) გენერალური დირექტორის 2005 წლის აგვისტოს მოხსენების თანახმად, წარმოადგენს „პასუხისმგებელ მოქალაქეობისათვის მომზადების ნაწილს, რომელიც მდგრადი მსოფლიოს იდეალების ერთგულებას გულისხმობს, მსოფლიოსი, რომელიც არის სამართლიანი, მიუკერძოებელი და მშვიდობიანი, სადაც ინდივიდუალური პირები ზრუნავენ გარემოზე და ცდილობენ, თავიანთი წვლილი შეიტანონ მომავალი თაობების მიმართ სამართლიანობის საქმეში“. მდგრადი განვითარებისათვის განათლების გაერთიანებული ერების ათწლეული (2005-2014 წლები) სწორედ ამგვარი განათლების ხელშეწყობას ემსახურება და მიზნად ისახავს მის ჩართვას ფორმალური განათლების, ფორმალური გარემოდან განსხვავებულ გარემოში მიმდინარე განათლების და არაფორმალური განათლების სასწავლო პროგრამებში. მდგრადი განვითარებისათვის განათლებას აშკარა და ბევრი საერთო აქვს დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებასა და ადამიანის უფლებათა სწავლებასთან,

მაგრამ მისი საფუძვლები გაერთიანებული ერების გარემოსდაცვითი მოძრაობიდან მომდინარეობს და მისი შესწავლის ძირითად საგანსაც გარემოს დაცვა წარმოადგენს. სწორედ ამგვარად, ყველა ზემოთ ნახსენებ სფეროს გააჩნია მისთვის დამახასიათებელი შესწავლის საგანი, რომლებსაც მნიშვნელოვანწილად მოიცავს დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების ყოვლისმომცველი კონცეფცია, თუმცა ამ სფეროთა შესწავლის ძირითად საგანს მაინც ერთი კონკრეტული თემა წარმოადგენს. შედგა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ქარტია უშუალოდ არ შეეხება ამ დაკავშირებულ სფეროებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზემოთ ჩამოთვლილი სფეროები უკავშირდება განათლებას დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და ადამიანის უფლებათა სწავლებას.

2. განმარტებები

34. მიუხედავად იმისა, რომ პროექტის პირველ ფაზაში დიდი სამუშაო ჩატარდა განმარტებების, ცნებებისა და ა. შ. შემუშავების თვალსაზრისით, ჯერ კიდევ საგრძნობი დეფიციტი არსებობდა პოლიტიკურ ჩარჩოდოკუმენტში შეტანილი ისეთი ძირითადი ტერმინების განმარტებების მხრივ, როგორიცაა „განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის“ და „ადამიანის უფლებათა სწავლება“. განმარტებების არსებობის შემთხვევაშიც კი, ეს განმარტებები წარმოადგენდა ვრცელ მსჯელობას იმის თაობაზე, თუ რას მოიცავდა ეს ტერმინი, ნაცვლად იმისა, რომ დაედგინა, რას გულისხმობდა იგი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს იყო არა ჭეშმარიტი განმარტება, არამედ აღწერა. ახალი დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებული განხილვებისას, მონაწილეები ერთხმად თანხმდებოდნენ მასზედ, რომ საჭირო იყო მკაფიო, ლაკონური განმარტებების შემუშავება, რათა ყველა პოლიტიკოსს და სხვა პირებს, რომლებსაც ჰქონდათ სურვილი, გასცნობოდნენ და პრაქტიკაში დაენერგათ ახალი დოკუმენტი, ნათელი წარმოდგენა ჰქონოდათ ამ დოკუმენტში მოცემული ძირითადი ტერმინების შესახებ.

35. ორი ძირითადი განმარტება პარაგრაფებში ა) და ბ) შედგენილ იქნა არსებული განმარტებების გამოყენებით: დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების შემთხვევაში გამოყენებულ იქნა განმარტება, რომელიც მოცემული იყო „წლის“ განმარტებისათვის; ადამიანის უფლებათა სწავლების შემთხვევაში გამოყენებულ იქნა განმარტება, რომელიც შემუშავებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისარიატის მიერ. თუმცა, შემდგომი განხილვებისას, განხორციელდა მათი გავრცობა და სრულყოფა, იმგვარად, რომ ეს ორი განმარტება იდენტური ყოფილიყო ფრაზამდე „რომლებიც საშუალებას მისცემს მათ“, რის შემდეგაც მოცემული იქნებოდა განსხვავებული ტექსტები, იმ სფეროების გათვალისწინებით, რომელიც წარმოადგენს თითოეული მათგანის შესწავლის საგანს. აქცენტი, ერთი მხრივ, გაკეთდა დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრებისათვის საჭირო უნარებზე, ხოლო, მეორე მხრივ – ადამიანის უფლებათა დაცვასა და ხელშეწყობაზე. ორივე განმარტებაში ყურადღება გამახვილებულია განათლებისა და სწავლების შედეგებზე, რომელიც წარმოადგენს არა მარტო ცოდნის შეძენას, არამედ პიროვნების აღჭურვას სათანადო უნარებითა და საშუალებებით, რაც შესაბამისი მოქმედებისაკენ უბიძგებს მას.

36. პარაგრაფებში გ), დ) და ე) მოცემული განმარტებები ეფუძნება განმარტებებს, რომლებიც მოცემულია ევროპის საბჭოს მიერ 2002 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში – ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით – კომპასში. პროექტზე მუშაობის ეტაპზე განხორციელდა ამ განმარტებათა გავრცობა და სრულყოფა. მაგალითად, შედგა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ფორმალური განათლების მახასიათებლად ჩაწერილიყო ის, რომ ფორმალური განათლება გულისხმობს კურსდამთავრებულთათვის სერტიფიკატების გადაცემას. ფორმალური საგანმანათლებლო გარემოდან განსხვავებულ გარემოში მიღებული განათლება, არაფორმა-

ლური განათლებისაგან განსხვავებით, უფრო ხშირად გულისხმობს მსმენელთა სერტიფიცირებას, მაგრამ, შეთანხმების საფუძველზე და განმარტებების გამარტივების მიზნით, გადაწყდა, რომ ეს კონკრეტული ასპექტი არ ყოფილიყო შეტანილი ტექსტში.

3. კავშირი დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებასა და ადამიანის უფლებათა სწავლებას შორის

37. კავშირი დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებასა და ადამიანის უფლებათა სწავლებას შორის არასოდეს ყოფილა განმარტებული, რა დასკვნამდეც მივიდა ქარტიის ტექსტზე მომუშავე ჯგუფი. ევროპის საბჭოს მიერ გამოცემულ დოკუმენტთა უმრავლესობაში, რომლებიც ეხება უწყვეტ პროგრამას და რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1997 წელს, იქ, სადაც გამოყენებულია ორივე ტერმინი, ჩვეულებრივ, მათი დაკავშირება წარმოებს დახრილი ხაზით „/“ ((EDC/HRE) განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის/ადამიანის უფლებათა სწავლება), რაც ამ ორ ცნებას შორის კავშირს გაურკვეველს ტოვებს. იგივე ითქმის მიზანშეწონილობის კვლევისას გამოყენებულ ტერმინებზე, რამაც კვლევისას წარმოშვა აუცილებლობა, გაკეთებულიყო მითითება, რომ აღარ შეიძლებოდა ამ საკითხის გვერდის ავლა და ნებისმიერ ახალ ინსტრუმენტში საჭირო იყო ამ ცნებათა შორის კავშირის განმარტება. მოცემულ ორ ტერმინს შორის არსებობს ნაწილობრივი დამთხვევა, რაც გამოიხატება იმაში, რომ, მაგალითად, ხმის მიცემის უფლება, სიტყვის თავისუფლება და შეკრების თავისუფლება წარმოადგენს ადამიანის კლასიკურ უფლებებს, რომლებიც ზუსტად ისევე განეკუთვნებიან დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების სფეროს, როგორც ადამიანის უფლებათა სწავლების სფეროს. მიუხედავად ამისა, მათ შორის არსებობს განსხვავებაც, რომლის განმარტებაც მოცემულია მე-3 პარაგრაფში. როგორც მე-3 პარაგრაფის ტექსტში ვკითხულობთ, მათ საერთო მიზნები და გამოყენების სფერო გააჩნიათ,

განსხვავება მხოლოდ შესწავლის სფეროსა და პრიორიტეტებშია გამოხატული.

4. კონსტიტუციური სტრუქტურები და წევრი ქვეყნების პრიორიტეტები

38. მოცემული არსებითი დებულება ეხმაურება პრეამბულის მე-13 პარაგრაფში განვითარებულ მსჯელობას. დოკუმენტის შემუშავებისა და მასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების წარმოების განმავლობაში დადასტურებულ იქნა, რომ წევრ სახელმწიფოებს სჭირდებათ მოქმედების სრული თავისუფლება, ქარტიის დებულებათა განხორციელების საშუალებათა თვალსაზრისით, ვინაიდან მათი კონსტიტუციური სტრუქტურები და საგანმანათლებლო სისტემები დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან და ეს სხვაობა უფრო მეტად არის გამოხატული განათლების სფეროში, ვიდრე ევროპული თანამშრომლობის სხვა ნებისმიერ სფეროში. მაგალითად, ზოგიერთი სახელმწიფოს საგანმანათლებლო სისტემა მეტად ცენტრალიზებულია და საგანმანათლებლო პროგრამებისა და მეთოდების განსაზღვრა წარმოებს სახელმწიფოს დონეზე; სხვა ქვეყნებში საგანმანათლებლო სისტემა მეტად დეცენტრალიზებულია და ადგილობრივ ხელისუფლებასა და ინდივიდუალურ სკოლებს აქვთ მნიშვნელოვანი ავტონომია მიზნებისა და ამოცანების დასახვის თვალსაზრისით; ფედერალურ სახელმწიფოებში განათლების საკითხებზე პასუხისმგებლობა ეკისრება ფედერაციაში შემავალ ერთეულთა ხელისუფლებებს. აქედან გამომდინარე, საჭირო გახდა ქარტიაში ა) პარაგრაფის შეტანა. ბ) პარაგრაფში გათვალისწინებულია, რომ, როგორც ეს ცნობილი გახდა პროგრამის განხორციელების პერიოდში და განსაკუთრებით „წლის“ განმავლობაში, სხვადასხვა წევრი-სახელმწიფო სხვადასხვა ეტაპზე იმყოფება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლებისათვის საჭირო კანონმდებლობისა და პრაქტიკის თვალსაზრისით. ზოგიერთ სახელმწიფოში აღნიშნული საგნები მრავალი წლის განმავლობაში წარმოადგენენ

საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილს, სხვა სახელმწიფოებში კი ეს პრაქტიკა მხოლოდ ახლა იკიდებს ფეხს. აქედან გამომდინარე, განსხვავებულია მათი პრიორიტეტები და საჭიროებები, და, შესაბამისად, მათ დასჭირდებათ ყურადღების გამახვილება და კონცენტრირება წინამდებარე ქარტიის სხვადასხვა ნაწილზე და ქარტიაში მოცემული დებულებების დანერგვა-განხორციელება სხვადასხვა თანამიმდევრობით მოუწევთ.

ნაწილი II – მიზნები და პრინციპები

5. მიზნები და პრინციპები

39. ქარტიის ამ კონკრეტული ნაწილიდან მის ბოლომდე, ქარტიის სტრუქტურა შემდეგნაირად შეიძლება იქნეს აღწერილი: მიზნებისა და პრინციპების ჩამონათვალი, ძირითადად, გადმოცემულია მე-5 მუხლში, რომელთაგანაც უმეტესობა უფრო დეტალურად არის განხილული და დაზუსტებული მე-6-დან მე-16 მუხლების ჩათვლით მოცემულ დებულებებში. თუმცა მე-5 მუხლში მოცემული დებულებების სპექტრი და განზოგადოებული ხასიათი მნიშვნელოვანი რჩება, ვინაიდან შემდგომ მუხლებში მოცემული დეტალური დახასიათება არ მოიცავს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა საკითხს და ამ მუხლში მოცემული დებულებები მოიცავს დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების კუთხით წევრ-სახელმწიფოთა მხრიდან გასახორციელებელ მოქმედებათა სრულ სპექტრს.

40. შესავალ აბზაცში ფრაზა „საჭიროა იხელმძღვანელონ“ მნიშვნელოვანია, ვინაიდან მუხლში ჩამოყალიბებული მიზნები და პრინციპები სახელმძღვანელო ხასიათისაა და არ წარმოადგენს არც დირექტივებს, რომლებსაც უნდა დაეფუძნოს სახელმწიფოს მიერ არჩეული კურსი,

კანონმდებლობა და პრაქტიკა და არც მხოლოდ ფონურ ინფორმაციას. პროექტის მომზადებისას განხილული იყო როგორც უფრო მკაცრი ალტერნატივა („საკუთარი კანონმდებლობა და ა. შ. უნდა შეუსაბამონ ქვემოთ მოყვანილ მიზნებსა და პრინციპებს“), ასევე, უფრო სუსტი ალტერნატივა („უნდა გაითვალისწინონ ქვემოთ მოყვანილი მიზნები და პრინციპები“), მაგრამ საბოლოოდ არჩევანი გაკეთდა ქარტიაში მოცემულ ფორმულირებაზე.

ა) მიზანი ესადაგება გაერთიანებული ერების 1993 წლის ვენის დეკლარაციაში მოცემულ დებულებას, რომელიც ეხება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესაძლებლობების უზრუნველყოფას და, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (მუხლი 1) დებულებებს, რომლებიც გულისხმობს ამ შესაძლებლობების უზრუნველყოფას არა მხოლოდ კონკრეტული ქვეყნის მოქალაქეებისათვის, არამედ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა პირისათვის.

ბ) ის, რომ განათლება, განსაკუთრებით მოქალაქეობრიობისა და ადამიანის უფლებათა სფეროში, წარმოადგენს პროცესს, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება, არის ევროპის საბჭოს პროგრამების ლაიტმოტივი. აღნიშნულ პროცესში დაინტერესებულ სუბიექტთა ჩამონათვალი განზრახ არის გრძელი და განზოგადებული, სადაც მოიაზრება ყველა ტიპის ინსტიტუცია, არასამთავრობო ორგანიზაცია და ა. შ.

გ) მოცემული პრინციპი არის შეხსენება იმისა, რომ აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანია განათლების ყველა ფორმის წვლილი, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოთა რესურსები მიმართული იქნება განათლების იმ ფორმისაკენ, რომელზეც მათ აქვთ გავლენა და რომლის დაფინანსების საშუალებაც ეძლევათ, ეს არის ფორმალური განათლების სფერო.

დ) არასამთავრობო ორგანიზაციათა და ახალგაზრდულ ორგანიზაციათა უდიდესი წვლილის შესახებ საუბარი იყო პრეამბულის მე-14 პარაგრაფში. მსგავს ორგანიზაციათა „მხარდაჭერა“ ზოგადად არის ნახსენები: არ არის გაკეთებული მინიშნება ამ ორგანიზაციათა მიმართ ფინანსურ ან სხვა ტიპის მხარდაჭერაზე, თუმცა ნათქვამია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები და ახალგაზრდულ ორგანიზაციები საჭიროებენ მხარდაჭერას სახელმწიფოს მხრიდან ან სხვა წყაროებიდან. ახალგაზრდული ორგანიზაციები ასევე გულისხმობს სტუდენტურ ორგანიზაციებს, რომლებიც მნიშვნელოვან პარტნიორებს წარმოადგენენ ადამიანის უფლებათა სწავლების საქმეში.

ე) არანაირი შედეგის მომტანი არ იქნება საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ერთი მხრივ, დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა მიმართ პატივისცემის სწავლება და, მეორე მხრივ, მათი სრულიად არადემოკრატიული პრინციპებით მართვა. ევროპის საბჭოს პროგრამაში მუდმივად და ხაზგასმით არის აღნიშნული სკოლებსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში დემოკრატიული მმართველობის აუცილებლობა. აღნიშნული საკითხი დეტალურად არის განხილული მე-8 მუხლში.

ვ) განსხვავებათა პატივისცემა ევროპის საბჭოს ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს (იხილეთ, მაგალითად, ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კამპანია „ყველა განსხვავებულია, ყველა თანასწორია“), ხოლო დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების ერთ-ერთ უმთავრეს მიზანსა და პრიორიტეტს წარმოადგენს ურთიერთგაგების გაღრმავება და კონფლიქტების თავიდან არიდება. რელიგიურ თუ ეთნიკურ ჯგუფებს შორის განსხვავებათა მაგალითები მოყვანილია ურთიერთგაგებისა და ურთიერთპატივისცემის გაღრმავების კონტექსტში, მაგრამ იგივე პრინციპი ვრცელდება სხვა ჯგუფებთან დაკავშირებით, რომელთა

შორისაც არსებობს უთანხმოებისა და კონფლიქტის წარმოშობის შესაძლებლობები.

ზ) როგორც ეს დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების განმარტებებშია მოცემული, წინამდებარე პრინციპის ყურადღების ცენტრში მოქცეულია მოქმედება და არა მხოლოდ ცოდნისა და უნარების შეძენა.

თ) წინამდებარე პრინციპი ვრცელდება წვრთნის ყველა ეტაპზე, როგორც სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებამდე, ასევე სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების პერიოდში, როგორც ეს დეტალურად არის განმარტებული მე-9 მუხლში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასამთავრობო და ახალგაზრდულ სექტორებში, სადაც შესაძლებლობები, მოხალისე ტრენერთა და მეთოდისტთა თვალსაზრისით, ხშირად ძალიან შეზღუდულია, დროებითია და დამოკიდებულია დონორთა მხარდაჭერაზე.

ი) პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა და გაღრმავება დაინტერესებულ სუბიექტთა ფართო სპექტრის წარმომადგენელთა შორის არ არის მარტივი მისაღწევი, განსაკუთრებით, როდესაც მათი ინტერესები იკვეთება და არსებობს შეზღუდულ რესურსებზე კონკურენციის პერსპექტივა. მიუხედავად ამისა, დაინტერესებულ სუბიექტთა შორის თანამშრომლობის სარგებელი იმდენად დიდია, რომ სახელმწიფოების მიერ ამ მიმართულებით განხორციელებულ ნებისმიერ ძალისხმევად ღირს.

კ) თავად წინამდებარე ქარტია არის შედეგი ევროპის საბჭოს 47 წევრ-სახელმწიფოს შორის საერთაშორისო დონეზე განხორციელებული თანამშრომლობისა და განათლების სფეროში ევროპის კულტურული კონვენციის ყველა მხარე-სახელმწიფოს შორის თანამშრომლობისა;

მისი სამართლებრივი და პოლიტიკური საფუძვლები სწორედ თანამშრომლობაში ძევს, ამრიგად, მომავალში ამგვარი თანამშრომლობის გაგრძელების მიზნისა და პრინციპის დასახვა სავსებით ლოგიკურია. გარდა იმ ნიშანდობლივი უპირატესობისა, რაც ამგვარ თანამშრომლობას უკავშირდება, თანამშრომლობასა და საუკეთესო პრაქტიკის ურთიერთგაზიარებას მნიშვნელოვანი პრაქტიკული სარგებლის მოტანა შეუძლია, მაგალითად, ერთი და იგივე საკითხზე სხვადასხვა ჯგუფის მიერ ჩატარებული სამუშაოს შემცირება, სინერგიის ხელშეწყობა და ხარჯების შემცირება.

ნაწილი III – პოლიტიკური კურსი

41. ქარტიის მე-6-დან მე-16 მუხლების ჩათვლით, მოცემულია ქმედითი დებულებები, სადაც ჩამოყალიბებულია კონკრეტული მიმართულებით გასატარებელ იმ ღონისძიებათა კურსი, რომლებიც საჭიროა მე-5 მუხლში განსაზღვრული მიზნებისა და პრინციპების პრაქტიკაში დანერგვისათვის. გასატარებელ ღონისძიებათა კურსი მოცემულია ზოგადი პირობებით, რაც წევრ-სახელმწიფოებს მოქმედების მნიშვნელოვან თავისუფლებას ანიჭებს მათ განხორციელებასთან დაკავშირებით და, რა თქმა უნდა, აქვე ვრცელდება მე-4 მუხლში მოცემული დებულება (იხილეთ ზემოთ მოცემული პარაგრაფი 38).

6. ზოგადი და პროფესიული ფორმალური განათლება

42. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოცემული მიმართულებით ევროპის საბჭოს ძალისხმევის ძირითად სამიზნეს წარმოადგენს ფორმალური განათლების სფეროში ცვლილებების შეტანა და შედეგების მიღწევა, რაც არ გამორიცხავს განათლების სხვა ფორმებს, არამედ იმიტომ, რომ სახელმწიფოს სწორედ ამ სფეროში ხელეწიფება მნიშვნელოვანი

ცვლილებების ხელშეწყობა და სასარგებლო შედეგების მიღწევა. მოცემული დებულება მე-4 მუხლში მოცემულ დებულებათა პრაქტიკაში განხორციელების საუკეთესო შესაძლებლობას წარმოადგენს, ვინაიდან ზოგიერთი სახელმწიფოს კონსტიტუცია და სტრუქტურა ცენტრალურ მთავრობას საგანმანათლებლო პროგრამებში პირდაპირი ცვლილებების განხორციელების საშუალებას აძლევს მაშინ, როცა სხვა სახელმწიფოებში ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილება შემოიფარგლება მხოლოდ დირექტივების გაცემითა და დახმარების უზრუნველყოფით იმ ხელმძღვანელობის მიმართ, რომელთა კომპეტენციაშიც შედის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების განხორციელება. რაც შეეხება ფედერალურ სახელმწიფოებს, ფედერალური მთავრობა არ სარგებლობს განათლების სფეროში რაიმე ტიპის ცვლილების განხორციელებისა ან ასეთი ცვლილების მოთხოვნის უფლებით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ სახელმწიფოში დიდი ხნის წინ იქნა განხორციელებული ეს ცვლილებები და, შესაბამისად, მათ ამჯერად სხვა პრიორიტეტები გააჩნიათ მაშინ, როცა სხვა სახელმწიფოთა პრიორიტეტს, ამ ეტაპზე, სწორედ ამ ცვლილების განხორციელება წარმოადგენს. წინამდებარე ქარტია სხვადასხვა მეთოდის გამოყენებისა და სხვადასხვა არჩევანის გაკეთების თავისუფლებას იძლევა. კიდევ ერთი სფერო, სადაც განსხვავებები აღინიშნება, არის ფორმალური განათლების ორგანიზება ზოგადი და პროფესიული განათლების მიმართულებებს შორის. ქარტიის ტექსტი იძლევა იმის საშუალებას, რომ თითოეულმა სახელმწიფომ საკუთარ სისტემას მოარგოს მოცემული დებულება.

43. ქარტიის პროექტზე მუშაობისას განხილულ იქნა საერთაშორისო საგანმანათლებლო არასამთავრობო ორგანიზაციათა წინადადება, რათა ქარტიის ტექსტში, საგანმანათლებლო პროგრამებში საგნების ჩართვის ნაცვლად, შეტანილი ყოფილიყო განათლების სხვადასხვა საფეხურზე დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების „კომპეტენციის“ ჩართვა. ტერმინი „კომპეტენციები“

დღესდღეობით ხშირად გამოიყენება როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ასევე პრაქტიკაში და ნიშნავს უნარების, ცოდნისა და დამოკიდებულებების ერთობლიობას. იგი მეტად ორიენტირებულია შედეგებზე, ვიდრე მოსწავლეებისა და სტუდენტების მიზნებზე და აღიარებს, რომ ეს შედეგები შესაძლებელია იყოს კომპლექსური. ქარტიის პროექტზე მომუშავე ჯგუფის მიერ მოწონებულ იქნა ეს თანამედროვე ტერმინი, მაგრამ საბოლოოდ მიჩნეულ იქნა, რომ იგი არ იყო ჯერ საკმარისად დამკვიდრებული და ფართო მასებისათვის გასაგები ისე, როგორც ტერმინი „საგანმანათლებლო პროგრამა“, რომელიც საყოველთაოდ გასაგები ტერმინია. გარდა ამისა, წინამდებარე დებულების მიზანს, მე-2 მუხლში მოცემული განმარტებების თანახმად, ერთაზროვნად წარმოადგენს განათლება არა მხოლოდ ცოდნასთან ზიარების მიზნით, არამედ, ასევე, უნარების გამომუშავებისა და დამოკიდებულებების განვითარების მიზნით, რომლის შედეგიც არის საზოგადოებაში აქტიური მონაწილეობისა და ადამიანის უფლებების დაცვის წახალისება.

44. წინამდებარე მუხლში მოცემულ მეორე წინადადებაში ყურადღება გამახვილებულია მასზედ, რომ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების ჩართვა საგანმანათლებლო პროგრამებში არ წარმოადგენს ერთჯერად ქმედებას: არსებობს აუცილებლობა იმისა, რომ რეგულარულად წარმოებდეს პროგრამის გადასინჯვა, მისი მართებულობისა და სწავლების მეთოდების ეფექტურობის შემოწმების მიზნით. მოცემული დებულება ვრცელდება ყველა სახელმწიფოზე, მიუხედავად იმისა, თუ საგანმანათლებლო პროგრამებში მოცემული საგნების ჩართვის რამდენწლიანი პრაქტიკა გააჩნიათ მათ.

7. უმაღლესი განათლება

45. უმაღლესი განათლების დაწესებულებებთან დაკავშირებით, უფრო დაბალი საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულებებისაგან განსხ-

ვავებით, გამოყენებულია ფრაზა „ხელი შეუწყონ დანერგვას“, ნაცვლად „უზრუნველყონ დანერგვა“. მოცემული ფრაზა ასახავს სახელმწიფოთა უმეტესობაში, თუ არა ყველა სახელმწიფოში, არსებულ სიტუაციას, რომ უმაღლესი განათლების დაწესებულებები ავტონომიურად წყვეტენ თავიანთ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებულ საკითხებს. იმავე პრინციპით განხორციელდა ხელმძღვანელობა, აკადემიურ თავისუფლებასთან დაკავშირებით, რაც, ძირითად, პრობლემურ საკითხს წარმოადგენდა უმაღლესი განათლების საორგანიზაციო კომიტეტისათვის, როდესაც იგი 2007 წელს განიხილავდა ახალი პოლიტიკური ჩარჩოდოკუმენტის შემუშავების თაობაზე შემოსულ წინადადებას. „უმაღლესი განათლების დაწესებულებები“, რა თქმა უნდა, მოიცავს უნივერსიტეტებს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ მათით.

8. დემოკრატიული მმართველობა

46. წინამდებარე მუხლის პირველ წინადადებაში ყურადღება გამახვილებულია საგანმანათლებლო დაწესებულებებში დემოკრატიული მმართველობის ორმაგ სარგებელზე: იგი თავისთავად ღირებული და სარგებლის მომტანია, როგორც მმართველობის ეფექტური მეთოდი და, ამავდროულად, მოსწავლეებსა და სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, პრაქტიკაში გამოიყენონ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა შესახებ შეძენილი ცოდნა. მეორე წინადადებაში ყურადღება გამახვილებულია მსგავს მმართველობაში ჩამოთვლილი დაინტერესებული სუბიექტების აქტიური მონაწილეობის წახალისებასა და ხელშეწყობაზე, „სათანადო საშუალებების გამოყენებით“, რაც შესაძლებელია მოიცავდეს სახელმძღვანელო ბიულეტენების გავრცელებასა და ტრენინგს. იგი, ასევე, შესაძლებელია მოიცავდეს სისტემას, რომელიც განათლების ყველა დონეზე უზრუნველყოფს სტუდენტთა არსებით და მუდმივ მონაწილეობას, რაც საყოველთაოდ მიჩნეულია დემოკრატიულ მოქალაქეობაში წვრთნის ყველაზე ეფექტურ საშუალებად.

47. „მმართველობა“ (ინგლისურად, ანუ, იმ ენაზე, რომელზეც წარმოებდა ქარტიის ფორმისა და შინაარსის შესახებ მოლაპარაკება — „governance“), რთულ ცნებას წარმოადგენს, რომლის ერთი სიტყვით თარგმნაც სხვა ენებზე გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება. იგი სცდება მარტივი მენეჯმენტისა და გადაწყვეტილებების მიღების ფარგლებს და გულისხმობს ამ პროცესებს შორის ურთიერთობასა და შეთანხმების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას ღირებულებებისა და პრიორიტეტების შესახებ. მისი ერთ-ერთი განმარტება შემდეგნაირად ჟღერს: „პროცესები და ინსტიტუციები, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება შეთანხმებული ღირებულებებისა და პრიორიტეტების კოლექტიურ ქმედებებში განხორციელება, რაც ემსახურება ჯგუფისა და მის ინდივიდუალურ წევრთა უსაფრთხოების, კეთილდღეობისა და მორალური განვითარების უზრუნველყოფას“.

წინამდებარე ცნების სრულყოფილი განმარტება მოცემულია ევროპის საბჭოს ანგარიშში კონფერენციის შესახებ, რომელიც გაიმართა 2005 წელს და მიეძღვნა უმაღლესი განათლების მმართველობას და სადაც სრულყოფილად იქნა განხილული აღნიშნული ტერმინი, მისი მნიშვნელობა, განმარტება და პრაქტიკული დანიშნულება. მიუხედავად იმისა, რომ კონფერენცია, პირველყოვლისა, ეძღვნებოდა უმაღლეს განათლებას და, რაც შეეხება სხვა ინსტიტუციების მმართველობას, იგი მცირედით განსხვავებული იქნება უმაღლესი განათლების ინსტიტუციების მმართველობისაგან, პრინციპთა უმრავლესობა ზოგადი ხასიათის არის და ვრცელდება ყველა ტიპის საგანმანათლებლო ინსტიტუციაზე.

9. წვრთნა

48. დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებასა და ადამიანის უფლებათა სწავლებაში მასწავლებელთა და როგორც საგანმანათლებლო სისტემაში, ასევე, მის გარეთ, სხვა პირთა, მაგალითად, ახალგაზრ-

დების ლიდერთა წვრთნის გარეშე, მსგავსი განათლება არაეფექტური და უსარგებლო იქნება. მოცემული საგანი სრულიად განსხვავდება ტრადიციული დისციპლინებისაგან. იმ პირებმა, ვინც შემდგომში ეს საგანი უნდა ისწავლონ, ჯერ თავად უნდა შეისწავლონ იგი. მოცემულ დებულებაში ხაზგასმულია არა მარტო მასწავლებელთა, არამედ მათი წვრთნის აუცილებლობაც, ვინც დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებასა და ადამიანის უფლებათა სწავლებაში მასწავლებლების წვრთნაზე აგებს პასუხს.

10. არასამთავრობო ორგანიზაციების, ახალგაზრდული ორგანიზაციების და სხვა დაინტერესებულ სუბიექტთა როლი

49. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ახალგაზრდულ ორგანიზაციათა წვლილის მნიშვნელობა დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებასა და ადამიანის უფლებათა სწავლებაში ხაზგასმით იქნა აღნიშნული ქარტიის პრეამბულის მე-14 პარაგრაფში და მე-5 მუხლის დ) პარაგრაფში. მათი როლი არ შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ ისინი განათლების სფეროში ფაქტობრივი სამუშაოს დიდ ნაწილს ასრულებენ, არამედ ისინი ასევე აქტიურად მონაწილეობენ კვლევაში, ლობირებენ მთავრობას და დიდ როლს ასრულებენ საზოგადოების ინფორმირებასა და ცნობიერების ამაღლებაში. გარდა ამისა, ძალიან ხშირად, სწორედ ისინი ქმნიან ერთადერთ გარემოს, სადაც ბავშვებსა და ახალგაზრდებს შეუძლიათ, პრაქტიკულად ისარგებლონ ადამიანის უფლებებით და მონაწილეობა მიიღონ დემოკრატიულ პროცესებში. აუცილებელია მათ მიერ შესრულებული სამუშაოსა და მისი მნიშვნელობის აღიარება, რაც წარმოადგენს წინამდებარე დებულების ძირითად მიზანს. დებულების პირველ ორ წინადადებაში ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფოთა მხრიდან მსგავსი ორგანიზაციების მუშაობის წახალისებისა და მათი ჯეროვნად დაფასების ვალდებულებაზე. ისევე როგორც მე-5 მუხლის დ) პარაგრაფში, მოცემულ დებულებაში არ არის აღნიშნული ის, თუ რა

სახის დახმარება უნდა გაუწიოს სახელმწიფომ ამ ორგანიზაციებს, რაც გულისხმობს, რომ ამ მიმართულებით სახელმწიფოებმა უნდა იხელმ-ძღვანელონ მათ ხელთ არსებული რესურსებითა და პრიორიტეტებით. დებულების ბოლო წინადადებაში პროცესში მონაწილეთა წრე უფრო ფართოვდება და მოიცავს მედია-საინფორმაციო საშუალებებსა და ფართო საზოგადოებას, რომლებიც დემოკრატიული მოქალაქეობისათ-ვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების გასაჯაროებასა და ხელშეწყობას ემსახურება. დებულების ამ მონაკვეთში ტექსტი შეგ-ნებულად ზოგადი ხასიათის არის, რათა სახელმწიფოებს მიეცეთ საშუ-ალება, განახორციელონ მოცემული დებულება ისე, რის საშუალებასაც არსებული სიტუაცია იძლევა. ამ მიმართულებით მათ მიერ გადადგმული ნაბიჯები შესაძლებელია გულისხმობდეს, მაგალითად, პრესაში საგა-ზეთო სტატიების განთავსებას ან სატელევიზიო სარეკლამო კამპანიას, ინტერნეტში სპეციალური ვებ-გვერდების შექმნას, მშობლისა და მასწავ-ლებლის ერთობლივი მუშაობის ორგანიზებას, პროცესებში პროფესი-ული კავშირების ან რელიგიური ჯგუფების ჩართვას და ა. შ.

11. შეფასების კრიტერიუმები

50. როგორც განათლების ნებისმიერი ფორმის შემთხვევაში, საჭიროა, არსებობდეს კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ფასდება მისი ეფექტიანობა. მსგავსი კრიტერიუმების შემუშავება არ არის მარტივი, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო დონეზე განხორცი-ელებულ იქნა ძალისხმევა კრიტერიუმებისა და მაჩვენებელთა შემუ-შავების მიზნით. საბოლოო ჯამში, თითოეულმა სახელმწიფომ თავად უნდა შეიმუშაოს საკუთარი კრიტერიუმები, მაგრამ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი დახმარება იქნება თანამშრომლობა საერთაშორისო დონეზე, რომელიც საშუალებას მისცემს სახელმწიფოებს, ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება და შეიმუშაონ საერთო კრიტერიუმები, გან-საკუთრებით ევროპის საბჭოს ფარგლებში, ევროპულ სახელმწიფოთა

რეგიონული ჯგუფების ფარგლებში, ან კოორდინატორთა ქსელების საშუალებით (იხილეთ მუხლები 12, 14, 15 და 16). მეორე წინადადებაში ყურადღება გამახვილებულია კრიტერიუმების შემუშავებისას, მოსწავლეთა და სტუდენტთა მხრიდან მიღებული ინფორმაციის მნიშვნელობაზე.

12. კვლევა

51. კვლევა მჭიდროდ არის დაკავშირებული შეფასებასთან. როგორც დებულების პირველი წინადადებიდან ვიგებთ, კვლევის ჩატარება არ ევალება სახელმწიფოს; რეალურად ეს შედის განათლების სფეროში გამოცდილების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციების კომპეტენციაში, რომელიც უნდა განხორციელდეს, როგორც საერთაშორისო, ასევე წევრ-სახელმწიფოთა დონეზე და, ასევე, სხვა სააგენტოების კომპეტენციაში, რომლებიც მოქმედებენ სახელმწოფოებისაგან დამოუკიდებლად, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია, ისინი სარგებლობდნენ სახელმწიფო დაფინანსებით კონკრეტული პროექტების განხორციელებისას. ამგვარ კვლევას მრავალი მიზანი გააჩნია და, ასევე, დიდია იმ სუბიექტთა რაოდენობა, რომლებისთვისაც კვლევას სარგებლის მოტანა შეუძლია. კვლევის ძირითადი მიზანი მდგომარეობს არსებული სიტუაციის შეფასებასა და იმ ინფორმაციის მოწოდებაში, რომელიც შედარების საშუალებას იძლევა, რაც დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების პროცესში ჩართული სუბიექტებისათვის ერთგვარ საზომს წარმოადგენს, რომელზე დაყრდნობითაც ისინი საკუთარი მიღწევების შეფასებასა და ეფექტურობისა და ეფექტიანობის ამაღლებას შეძლებენ და, აქედან გამომდინარე, შეამცირებენ არაპროდუქტიულ ღონისძიებებსა და ძალისხმევას, რაც თავისთავად ხარჯების შემცირებას გამოიწვევს. მეორე წინადადებაში მოცემულია გრძელი, მაგრამ არა ამომწურავი ჩამონათვალი იმ სფეროებისა, რომელიც შესაძლებელია მოიცვას კვლევამ.

ბოლო წინადადება ეხება კვლევის შედეგების გაზიარებას სხვა წევრ-სახელმწიფოებთან, რაც უკავშირდება მე-15 და მე-16 მუხლებში შესულ დებულებებს.

13. სოციალური ერთობის განმტკიცების, მრავალფეროვნების დაფასებისა და უთანხმოებათა და კონფლიქტების მოგვარების უნარი

52. მოცემულ დებულებაში დეტალურად არის განხილული მე-5 მუხლის ვ) პარაგრაფში ჩამოყალიბებული პრინციპი და მოცემულია კომენტარები. დებულება არ შემოიფარგლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების როგორც მხოლოდ სასწავლო დისციპლინის გაგებით, არამედ მოიცავს დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების პრინციპების განათლების ყველა სხვა სფეროში გამოყენებასაც. დებულების არსი მდგომარეობს მრავალფეროვან საზოგადოებაში თანაცხოვრებისათვის, განსხვავებათა პატივისცემისა და კონფლიქტების არაძალადობრივი საშუალებებით მოგვარებისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების შეძენაში. როგორც დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების განმარტებებიდან ვგებულობთ, იგი ემსახურება არა მხოლოდ ცოდნის, არამედ უნარების შეძენასა და გარკვეული დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. დებულებაში ყურადღება გამახვილებულია დისკრიმინაციისა და ძალადობის ყველა ფორმით გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლაზე, განსაკუთრებით დისკრიმინაციისა და ძალადობის იმ ფორმების წინააღმდეგ, რომლებსაც შეიძლება შევხვდეთ სკოლებში, სახელდობრ, დაშინებასა და ჩაგვრას, როგორც ფიზიკურსა და ფსიქოლოგიურს, ასევე, ინტერნეტის საშუალებით განხორციელებულს („კიბერ-ჩაგვრა“), რაც ჩაგვრისა და დისკრიმინაციის სულ უფრო და უფრო გავრცელებული ფორმა ხდება.

ნაწილი IV – შეფასება და თანამშრომლობა

14. შეფასება და შემოწმება

53. ქარტიის პროექტზე მომუშავე ჯგუფმა, გაითვალისწინა რა, რომ წევრ-სახელმწიფოთა უმრავლესობა არ ემხრობოდა გარედან განხორციელებული მონიტორინგის სისტემის შემოტანას, სხვადასხვა მიზეზის გამო, მათ შორის იმ ხარჯების გამო, რომელიც აღნიშნული სისტემის შემოტანასთან იქნებოდა დაკავშირებული, არჩევანი შეაჩერა სისტემაზე, რომელიც გულისხმობს წევრი-სახელმწიფოების მიერ განხორციელებულ თვითშეფასებას. შეფასება უნდა ხორციელდებოდეს რეგულარულად და სრულყოფილად და გულისხმობდეს შეფასების შედეგების მიხედვით გარკვეული მოქმედებების განხორციელებას. წინამდებარე დებულება უკავშირდება მე-11 მუხლში მოცემულ დებულებას შეფასების კრიტერიუმების შესახებ, მე-12 მუხლში მოცემულ დებულებას კვლევის შესახებ და მე-15 მუხლში მოცემულ დებულებას თანამშრომლობის შესახებ. მეორე წინადადებაში ყურადღება გამახვილებულია მასზედ, რომ სახელმწიფოებს ეძლევათ არჩევანის გაკეთების საშუალება, შეფასების პროცესში ითანამშრომლონ სხვა სახელმწიფოებთან, ხოლო მესამე წინადადებაში ყურადღება გამახვილებულია მასზედ, რომ სახელმწიფოებს ეძლევათ საშუალება, დახმარებისათვის მიმართონ ევროპის საბჭოს. ზემოთ მოცემული ორივე მოქმედება ხელსაყრელი და სარგებლის მომტანი იქნება სახელმწიფოსათვის, მაგრამ მათი განხორციელება სრულებით არის დამოკიდებული კონკრეტული სახელმწიფოს ნებაზე.

15. თანამშრომლობა შემდგომი საქმიანობისას

54. წინამდებარე დებულების მიზანს წარმოადგენს, ქარტიის დამტკიცების შემდეგ, იმ საუკეთესო თანამშრომლობის გაღრმავება, რომელიც ევროპის საბჭოს წევრ-სახელმწიფოებს შორის ჩამოყალიბდა

1997 წლიდან მოყოლებული. მუხლის პარაგრაფები ა), გ) და დ) განკუთვნილია სახელმწიფოთა მთავრობებისათვის, ხოლო პარაგრაფები ბ) და ე) ეხება მთავრობათა მხრიდან მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხსა და ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობასა და წახალისებას. მრავალი წლის განმავლობაში ბევრი წარმატება იქნა მიღწეული დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების სფეროში მოღვაწე კოორდინატორთა ევროპის მასშტაბით არსებული ქსელის საშუალებით, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ქსელების საშუალებით და ამჯერად მიზანი მდგომარეობს ამ კავშირების გაღრმავებასა და იმ მოქმედებების ხელშეწყობაში, რომელსაც ეს ქსელები ერთსულოვნად ახორციელებენ. ასევე, ერთსულოვანი და თანამშრომლობაზე დაფუძნებული მოქმედებებით მთავრობები შეძლებენ ერთსა და იმავე საკითხზე პარალელური მუშაობისათვის საჭირო დროის, ენერგიისა და ფინანსების დაზოგვასა და არსებული მწირი რესურსების რაციონალურად გამოყენებას.

55. გ) პარაგრაფში მოცემული ტერმინი „კოდიფიცირება“ გულისხმობს ამ სფეროში დაგროვებული საუკეთესო პრაქტიკის ნორმების სახით ჩამოყალიბებას, რომელთა გამოყენებაც უფრო ფართო ხასიათს მიიღებს და რომლებიც თავიანთი ხასიათით მარეგულირებელი ნორმების მსგავსი იქნება, მაგრამ მოწოდებული იქნება სახელმძღვანელო დებულებებისა და რეკომენდაციების სახით. მსგავსი კოდიფიცირება, უწინარეს ყოვლისა, განკუთვნილია წევრი სახელმწიფოებისათვის, რათა მათ ამგვარად შედგენილი ნორმები დაამკვიდრონ საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში, მაგრამ ასევე შესაძლებელია შეთანხმების საფუძველზე მიღებული სახელმძღვანელო ნორმებისა და წესების გამოყენებაც რამდენიმე წევრი-სახელმწიფოს მიერ. ფაქტობრივად, თავად ქარტია წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკის კოდიფიცირების მაგალითს.

16. თანამშრომლობა საერთაშორისო დონეზე

56. მოცემული დებულება ეხება თანამშრომლობის ფარგლების გაფართოებას, რაც გულისხმობს მიმდინარე პროცესებში სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვას, რომლებიც დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების საქმეში ევროპის საბჭოს პარტნიორებს წარმოადგენენ, უმთავრესად, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ევროგაერთიანება და ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია. ამ ოთხ ორგანიზაციას მჭიდრო კავშირები აქვს სამდივნოთა დონეზე და აქვთ მოცემულ სფეროში მნიშვნელოვანი შეხვედრების ერთობლივი ორგანიზების გამოცდილება, მაგრამ წინამდებარე დებულება მიზნად ისახავს წევრ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, ვინაიდან, ხშირად ხდება ისე, რომ ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი სახელმწიფო მოხელე, რომელიც მოცემულ საკითხზე მუშაობს, არ იცნობს იმავე საკითხზე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ წარმოებულ სამუშაოს. მოცემული დებულების მიზანს წარმოადგენს წინამდებარე ქარტიისა და მასში მოცემული კურსისა და პრაქტიკის ფართოდ გავრცელება, როგორც ევროპის მასშტაბით, ისე მის ფარგლებს გარეთ. რა თქმა უნდა, წინამდებარე დებულება არ ზღუდავს წევრ-სახელმწიფოებს, რომლებიც ასევე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციათა წევრებიც არიან, საკუთარი გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკა უშუალოდ გაუზიარონ ამ ორგანიზაციებს.

ევროპის საბჭოს გამომცემლობა /
Council of Europe Publishing / Editions du Conseil de l'Europe
FR-67075 STRASBOURG Cedex
Tel.: +33 (0)3 88 41 25 81 – Fax: +33 (0)3 88 41 39 10
E-mail: publishing@coe.int – Website: http://book.coe.int

განათლება არსებით როლს თამაშობს ევროპის საბჭოს ძირითად ღირებულებათა გავრცელებაში, ღირებულებათა, როგორიცაა დემოკრატია, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა, ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევების აღკვეთაში. უფრო ზოგადად, განათლება სულ უფრო მეტად აღიქმება როგორც ძალადობის, ექსტრემიზმის, ქსენოფობიის, დისკრიმინაციის და შეუწყნარებლობის აღზევებისაგან დაცვის მექანიზმი. ამის დასტურია ორგანიზაციის 47 წევრის მიერ, რეკომენდაციის CM/Rec (2010)7 ფარგლებში მიღებული ევროპის საბჭოს ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ. ქარტიაზე მუშაობა რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, იგი შედეგია ფართომასშტაბიანი კონსულტაციებისა და არ შეიცავს ვალდებულებებს. ქარტია წარმოადგენს სახელმძღვანელოს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ განათლების სფეროში ჩართული პირებისათვის. ვიმედოვნებთ, რომ იგი გახდება წევრ-სახელმწიფოთა მხრიდან ამ მიმართულებით განხორციელებული ქმედებების სახელმძღვანელო და კატალიზატორი, ისევე როგორც საუკეთესო პრაქტიკის გავრცელება-დანერგვისა და სტანდარტების ამაღლების საშუალება, როგორც ევროპის ფარგლებში, ასევე მის მიღმა.

COUNCIL OF EUROPE CONSEIL DE L'EUROPE

www.coe.int

ევროსაბჭო, რომელიც თითქმის მთელ ევროპას მოიცავს, აერთიანებს 47 წევრ-სახელმწიფოს. ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა დოკუმენტებზე დაყრდნობით, ევროსაბჭო ცდილობს, განავითაროს საერთო დემოკრატიული და იურიდიული პრინციპები. ევროსაბჭო დაარსდა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1949 წელს. დაარსების დღიდან მოყოლებული, ის სიმბოლურად განასახიერებს შერიგებას.

http://book.coe.int